პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 56 (20702) ხუთშაბათი, 8 მარტი, 1990 წელი. ფასი 8 კაპ.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საკუთრების შესახებ

საკავშირო საარჩევნო კორესპონდენტები კრემლიდან იუწყებიან

ხმის უმრავლესობით უზენაესმა საბჭომ 6 მარტს მიიღო კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ" — იმ საკანონმდებლო აქტების რიგში ცენტრალური, რომლებმაც უნდა შექმნან საბჭოთა კავშირში ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი საფუძვლები. იგი აღიარებს საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებას, ქმნის პირობებს მათი თანასწორუფლებიანი განვითარებისა და შეჯიბრებისათვის.

კანონი ძალაში შედის 1990 წლის 1 ივლისიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამართლებრივი აქტის ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში საფულდაგულო მომზადების მიუხედავად, დღესაც უდისკუსიოდ ვერაფერს გავხდით. დილის სხდომა დაიწყო თვით კანონპროექტის სახელწოდების განხილვით. ეწოდოს მას „საფუძვლები" თუ „კანონი". ეს უკანასკნელი წამოაყენეს იმ კომიტეტებმა და კომისიებმა, რომლებიც პროექტზე მუშაობდნენ. ორივე პალატამ მიიღო სახელწოდება — კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ".

გარდა ამისა მთელმა რიგმა დეპუტატებმა წამოაყენეს წინადადება მოიხსნას კანონის პრეამბულა. მათი აზრით, იგი დეკლარაციული ხასიათისაა. ამას არ დაეთანხმა მთავრობის მეთაურის მოადგილე ლ. ი. აბალკინი. მისი აზრით, პრეამბულა აუცილებელია, რადგან ადასტურებს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს ქმნის სოციალისტური საკუთრება მისი მრავალფეროვანი ფორმებით.

განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კომპრომისული ვარიანტი: დეპუტატებმა გადაწყვიტეს მოეხსნათ პრეამბულა, მაგრამ კანონში შეეტანათ დებულება, რომელსაც იგი შეიცავს, იმის შესახებ, რომ საკუთრების ყოველგვარი ფორმის გამოყენება უნდა გამორიცხავდეს წარმოების საშუალებებისაგან მუშაკის გაუცხოებას და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას.

შემდეგ პარლამენტი შეუდგა კარების მიხედვით კანონპროექტისათვის კენჭისყრას. შესწორებების განხილვის შემდეგ კანონი მიიღეს: 350 — „მომხრე", მხოლოდ 3 — „წინააღმდეგი", 11-მა თავი შეიკავა.

რადგან მიღებული კანონი მოითხოვს ცვლილებების შეტანას სსრ კავშირის კონსტიტუციაში, პარლამენტმა გადაწყვიტა წინადადებანი ამის შესახებ გადასცეს სსრ კავშირის დეპუტატთა მომავალ ყრილობას.

სხდომაზე შეიქმნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მართლწესრიგისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა კომიტეტი ნაცვლად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი კომიტეტისა. მის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ვ. გოლიკი.

დეპუტატი ე. ა. პამფილოვა დაუბრუნდა პარლამენტართა უდისციპლინობის საკითხს, რამაც წინა დღით არსებითად შეაჩერა სესიის მუშაობა. მან წინადადება წამოაყენა ყრილობის დაწყებამდე გამოექვეყნებინათ დეპუტატთა მიერ უზენაესი საბჭოს სხდომებზე დასწრების შედეგები. მისი კოლეგები დაეთანხმნენ ამას.

სხდომის თავმჯდომარემ ა. ი. ლუკიანოვმა მამაკაცების სახელით ქალებს მიულოცა 8 მარტის დღესასწაული.

7 მარტს დეპუტატები მუშაობდნენ პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებში.

სესია მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის შემდეგ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში მდგომარეობის და ამ რეგიონში ვითარების ნორმალიზაციის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, რომელმაც განიხილა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში საქმის ვითარება, ღრმა წუხილს გამოთქვამს რეგიონში მოვლენათა განვითარებასთან დაკავშირებით. ორი რესპუბლიკის კონფლიქტმა საშიშ ზღვარს მიაღწია, დიდ ზიანს აყენებს ამიერკავკასიის ხალხებსა და მთელ ქვეყანას, დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ძალისხმევას იმ მიზნით, რომ პოლიტიკური საშუალებებით ნორმალური გაეხადა სიტუაცია, არ მოუცია დადებითი შედეგები. ორივე რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი წინააღმდეგობების გამწვავებას მოჰყვა ადამიანის დიდი მსხვერპლი, ასობით-სობით ადამიანი ლტოლვილის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ასეთ სიტუაციაში 1990 წლის ივნვარში საგანგებო წესების დამყარება მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში, აზერბაიჯანის სსრ ზოგიერთ რაიონსა და სომხეთის სსრ გორისის რაიონში, ხოლო შემდეგ ბაქოში წარმოადგენდა შეიარაღებულ შეტაკებათა, მასობრივ უწესრიგობათა ზრდის, კანონის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის პირობებში ძალადობის აღკვეთის უკიდურეს, მაგრამ საჭირო ღონისძიებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს დაზარალებულებს, იზიარებს დღეუპულ სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა ნათესავებისა და აბლობლების მწუხარებას, გადაჭრით გმობს ექსტრემისტული ძალებისა და კორუმპირებული ელემენტების მოქმედებას, რომლებმაც აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხებს თავს დაატეხეს ნამდვილი ტრაგედია.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მხედველობაში იღებს რა იმას, რომ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მთლიანად აგებენ პასუხს თავიანთ ტერიტორიებზე ყველა ეროვნების მოქალაქეთა უფლებებისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ნორმალური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, ავალებს რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს საზოგადოებრიობასთან ერთად დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ხალხთა შორის ნდობისა და თანხმობის აღდგენის საერესპუბლიკათშორისო ხელშეკრულების დადებისათვის, ამასთან იხელმძღვანელონ ორივე რესპუბლიკის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებით.

2. დაევალოთ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ სახელმწიფო ორგანოებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს განსაორციელონ საბრძოლო ჯგუფების სრული განიარაღება და მოსახლეობაში არსებული იარაღის ამოღება, უზრუნველყონ ექსტრემისტული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების დათხოვნა, რომლებიც პასუხს აგებენ ტეროროსტული მოქმედებისათვის, რბევისათვის, მასობრივი არეულობისათვის. საჭიროდ იქნეს მიჩნეული ის, რომ აიკრძალოს იმ პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ამკარად ქადაგებენ ნაციონალიზმს, რასიზმსა და რელიგიურ ფანატიზმს.

3. რეკომენდაცია მიეცეთ აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციისა და მოსახლეობის უშიშროების უზრუნველმყოფი პირობების შექმნის კვალობაზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანონ წინადადებანი ბაქოში საგანგებო წესების გაუქმებისა და ქალაქიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

4. აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და კავშირის საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების საკითხთა კომისიას წარუდგინონ სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ნორმალიზაციის ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათგან ისეთებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის.

5. აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ რესპუბლიკებს შორის შეთანხმების დადება რეგიონის სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტზე ვითარების დაუყოვნებლივ ნორმალიზაციის შესახებ და შეიმუშაონ სატრანსპორტო არტერიების საიმედო ფუნქციონირების ღონისძიებათა სისტემა. კავშირის საბჭოს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის საკითხთა კომისიამ ორივე რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამ მუშაობაში და შედეგები გააცნოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს.

6. სსრ კავშირის პროკურატურამ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა აზერბაიჯანის სამართალდაცვით ორგანოებთან ერთად აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნების გათვალისწინებით უზრუნველყონ დამნაშავეობისა და სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების ყველა იმ ფაქტის უმოკლეს დროში გამოძიება, რომლებიც მოხდა 1990 წლის ივნვარში.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ორი თვის ვადაში შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინონ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოებთან ერთად დააჩქაროს ლტოლვილთა დახმარების სამთავრობო პროგრამის შემუშავება.

8. რეკომენდაცია მიეცეთ მასობრივი ინფორმაციის „ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს აწონ-დაწონილად, პასუხისმგებლურად და ობიექტურად გააშუქონ ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემები და არ დაუშვან ტენდენციურობა და ფაქტების დამახინჯება.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. **1990 წლის 5 მარტი**

საბჭოთა ქალებს!

ძვირფასო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს — ჩვენს საერთო ნათელ გაზაფხულის დღესასწაულს.

დაუცხრომელია თქვენი ზრუნვა ოჯახსა და შვილებზე, ქვეყნისა და მთელი პლანეტის კეთილდღეობაზე. ქალის, დედის გული ერთ-ერთი უძველესი ზნეობრივი დასაყრდენია ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მამამ განსაცდელის ჟამსაც და მშვიდობიანი შრომის დღეებშიც.

ჩვენ, საზოგადოების ძირეული გარდაქმნის რთულ პერიოდში ქალები აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობენ ყოველგვარ განახლების პროცესებში. მადლობას მოგახსენებთ თქვენ ამისათვის! ამასთანავე მრავალი სიძნელე, რომლებსაც დღეს განიცდის ჩვენი ქვეყანა, მნიშვნელოვანწილად თქვენს კისერზე გადადის, გიმატებთ ყოველდღიურ საზრუნავს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ესმის ეს, ხედავს რეალურ სიტუაციას და აღგითქვამთ, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა რაც შეიძლება მალე გაკრეს რიგები და საკონლის დეფიციტი, უმძიმესი ხელის შრომა და მოუწყობელი ყოფა, რათა უფრო სრულად გამოვლინდეს და საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში გამოიყენებოდეს საბჭოთა ქალის სულიერი პოტენციალი.

თვით ბუნებამ უბოძა ქალს ფასდაუდებელი ნიჭი — მშვიდობისმყოფელობის ნიჭი. მას ყოველთვის განეკუთვნებოდა წამყვანი როლი, როცა საჭირო იყო გაცხარებულთა დაცხრომა, გამძვინვარებული გულის მოლბობა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს თქვენი ხელშეწყობის იმედი აქვს ეროვნებათშორის კონფლიქტების დაძლევაში, ქვეყანაში დიალოგისა და მოკალაქეობრივი თანხმობის მხარდაჭერაში.

უფრაველია საბჭოთა ქალების დამსახურება იმაშიც, რომ ჩვენს პლანეტაზე საერთოდ კონფრონტაცია თანდათანობით ადგილს უთმობს დიალოგს, ნდობას, თანამშრომლობას. ქალების საუკუნოვანი სწრაფვა გულმოწყალებისადმი, მათი ადამიანურობა და მომხიბვლელობა სამართლიანად შეგვიძლია მივაკუთვნოთ იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც გვეხმარება შევანელოთ საერთაშორისო დაძაბულობა, შეუქცევადი გავხადოთ განიარაღების პროცესი, დავამკვიდროთ მსოფლიოში მბალი, ნამდვილად ჰუმანური აზროვნება.

ძვირფასო ქალებო!

სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, თქვენს ოჯახებს, ყველა თქვენს ახლობელს ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მრავალ გაზაფხულს! **სიმონ კილაძის ფოტო.**

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას

6 მარტს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში სამუშაო ვიზიტად ჩამოსული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. მოდროვი და მისი თანამხლები რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის მინისტრები. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ლ. ი. რიჟკოვი, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ია კოვლევი, ნ. ა. ფიოდოროვი, ვ. ფალინი, რ. ა. ფიოდოროვი, ა. ბ. ბეზი, კ. ვოლფი, კ. ვიუშმე, ტ. დიდერიხი, ვ. მაიერი, მ. პლატეკი, გ. პოპე, ს. პფლუგბაილი, ვ. ულმანი, მ. ფლეგელი, კ. შლიტერი, რ. ეპელმანი, ვ. ფლეკი, ა. ბ. ბრაბაჩი, გ. კენიგი.

განიხილეს გერმანიის პრობლემატიკისა და ორმხრივი თანამშრომლობის პრინციპული ასპექტები.

მინდა კვლავ დავადასტურო, განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ საბჭოთა კავშირი პატივს სცემს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გერმანელთა თვითგამორკვევის უფლებას. გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირისათვის, ისევე როგორც, ცხადია, სხვა — უწინარეს ყოვლისა — ევროპის სახელმწიფოებისათვის, სულაც არ არის სულ ერთი, როგორ წარიმართება ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოება, როგორ შესრულდება მათი საერთაშორისო ვალდებულებანი. გერმანიის საკითხი ეხება საერთაშორისო გაერთიანების ფუნდამენტურ ინტერესებს. და საბჭოთა კავშირს სხვა ქვეყნებთან ერთად უფლება აქვს იღვაწოს იმის უთუო გარანტიებისათვის, რათა გერმანიის მიწიდან არასოდეს აღარ დაიწყოს ომი.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაახლოება მხოლოდ მაშინ არ დაარღვევს კონტინენტზე ინტერესების ბალანსს, თუ გარანტირებული იქნება მისი ეტაპობრიობა, კონტროლი, საერთა-ევროპული პროცესის კალაპოტში ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირება. აეიოტაქის გადვიდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსირებისადმი მისწრაფება, „მომხდარი ფაქტების" პოლიტიკა არ შეესაბამება ევროპისა და მსოფლიოს ბედისათვის ისეთი მგრძნობიარე საკითხის გადაჭრისადმი პასუხისმგებლურ მიდგომას, როგორიც არის გერმანიის საკითხი. ეს, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება თვით გერმანელთა ინტერესებსაც, რომლებიც არ შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებული მტკიცე ურთიერთნდობის საფუძველზე ევროპის ყველა ხალხთან კონსტრუქციული, ნაყოფიერი ურთიერთობით.

ერთიანი გერმანიისაკენ წინსვლის აუცილებელი პირობაა ოთხი სახელმწიფოს, სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებით მეზობელი სახელმწიფოების უფლებებისა და ინტერესების სრული გათვალისწინება, ევროპის აძალად არსებული საფუძვლების უთუო ცნობა, ყოველგვარ რევანშისტულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა.

მთელი გარკვეულობით განაცხადეს, რომ მიუღებელია ნატოში მომავალი გერმანიის შესვლა, რა შენიშვნებიც უნდა მოიშველიონ ამ დროს. არ უნდა დავუშვათ მოქმედება, რომელიც გამოიწვევს ევროპაში ჩამოყალიბებული წონასწორობის — სტაბილურობისა და უშიშროების, ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის საფუძვლის — მსხვრევას.

გერმანიის ერთიანობის პრინციპული ასპექტები, მათ შორის გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური სტატუსი, აღნიშნა საბჭოთა ხელმძღვანელმა, შეიძლება საბოლოოდ გადაწყდეს მშვიდობიანი მოწესრიგების ფარგლებში, რომელიც გახდება კონტინენტზე ჩამოყალიბებული უშიშროების ახალი სტრუქტურების დიდმნიშვნელოვანი ელემენტი, ხოლო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით გერმანიას დააყენებს თანაბარ მდგომარეობაში მსოფლიო გაერთიანების სხვა წევრებთან ერთად.

ცოცხალმა აზრთა გაზიარებამ ცხადყო გერმანელთა დაახლოების სხვადასხვა ასპექტისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ფუძემდებლური რიგი მიდგომების სიახლოვე ან დამთხვევა.

ჰ. მოდროვმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გერმანიის გაერთიანებისაკენ ეტაპობრივი წინსვლის დროს გათვალისწინებულ იქნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური, სულიერი, კულტურული თავისებურება, მისი საერთაშორისო კავშირურთიერთობისა და სხვა სახელმწიფოთა წინაშე ვალდებულებების ხასიათი. არავის ექვი არ უნდა შეეპაროს იმაში, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მისი მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას ოდერ-ნოისეს საზღვარი მიაჩნიათ საბოლოოდ, გერმანელი, პოლონელი და ევროპის სხვა ხალხებისათვის მშვიდობიანი მომავლის აუცილებელ პირობად.

დაახლოების პროცესი მოითხოვს ურთიერთპასუხისმგებლობას, გულმოდგინედ აწონ-დაწონილ ნაბიჯებს. მას არ უნდა მოჰყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებთა სოციალური დაცულობის შემცირება, ზიანი არ უნდა მიაყენოს მათს კანონიერ უფლებებს, რესპუბლიკის საკუთრებას, მთელი ხალხის მონაპოვარს, რომელიც შექმნილია მთელი რიგი ათწლეულების მანძილზე რამდენიმე თაობის შრომით. ბუნებრივია, ასევე არ შეიძლება უგულებელყოფილი იყოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის საარსებო ინტერესები.

ორივე მხარემ პოზიტიური შეფასება მისცა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალპლანიან თანამშრომლობას, მათი ურთიერთობის ახალ ხასიათს. ხაზგასმით აღინიშნა ორივე მხარის დაინტერესება იმით, რომ შეინარჩუნონ და ამავლონ ყოველივე ფასეული, რაც იყო და არის ორი სახელმწიფოს ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობაში, განამტკიცონ ურთიერთნდობა მათი ხალხების საკეთილდღეოდ.

საუბარმა მეგობრულ, საქმიან და კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩაიარა. (**საკდესი**).

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲨᲘ

6 მარტს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰ. მოდროვის მოლაპარაკება, რომელიც საბჭოთა კავშირში სამუშაო ვიზიტად იმყოფება ა. ვისი კანინტის რამდენიმე მინისტრთან ერთად. გაიმართა შინაარსიანი აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე, ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისა და გაერთიანების პროცესთან დაკავშირებული ევროპის სიტუაციის ზოგიერთ ასპექტზე.

მიესალმა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოადგენლებს, ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშაობას რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო სტრუქტურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ეს ძალისხმევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის საქმეში, ისე წონასწორობის შენარჩუნებისა და მოლაპარაკებ ევროპის საქმეებში განმეორების თვალსაზრისით.

მთავრობათა მეთაურებმა გამოთქვეს ერთნაირი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხასიათი განსაზღვრავს ისეთ არსებით ფაქტორებს, როგორიც არის ინტენსიური თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში, საერთაშორისო ასპარეზზე, სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მჭიდრო გადაბლართვა. ხაზგასმით აღინიშნა დაინტერესება ყოველივე პოზიტიურის მხარდაჭერითა და გაღრმავებით, რაც დაგროვილია ორი ქვეყნის ურთიერთობის ორმოცი წლიზე მეტი ხნის ისტორიის მანძილზე.

ჰ. მოდროვმა და მოლაპარაკებაში მონაწილე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრებმა — რესპუბლიკის მთავრობაში თანამშრომელი პარტიებისა და პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებმა — გამოთქვეს დაინტერესება იმით, რომ გახანგრძლივ და განაგრძეთ ეს თანამშრომლობა ამა წლის 18 მარტს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პარლამენტის არჩევნების შემდეგაც.

ნ. ი. რიჟკოვმა მხარი დაუჭირა ამ გამონათქვამებს და აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. თანამოქმედების გაღრმავების, მისი ეფექტიანობის ზრდისათვის არის საჭირო წანამძღვრები — ურთიერთობის განმტკიცებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, სამოკავშირეო ვალდებულებანი, ჩამოყალიბებული ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობა. სსრ კავშირის წილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში შეადგენს დაახლოებით 40 პროცენტს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წილი საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მოცულობაში — 10 პროცენტზე მეტს.

ამავე დროს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამეურნეო მექანიზმების გარდაქმნა, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა, გერმანიის სავალუტო-კონომიკური კავშირის შექმნის პერსპექტივა და გამაერთიანებელი პროცესის სხვა ღონისძიებანი მოითხოვს კარდინალური ცვლილებების შეტანას სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის პრაქტიკაში, აგრეთვე აღნიშნული პროცესის საზაფლო ეკონომიკური შედეგების ანალიზს. ეს საკითხები უნდა გახდეს გულმოდგინე განხილვის და მხარეთა შორის შეთანხმების საგანი. არ უნდა ჩამოვრჩეთ ცხოვრებას, რეალისტურად შევაფასოთ მოვლენების განვითარება.

მოლაპარაკების დროს ჰ. მოდროვმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ჩამოყალიბებული წესი, რომელიც არეგულირებს ოკუპაციის ყოფილი საბჭოთა ზონის, ამჟამად კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკუთრების საკითხებს, არ გაუქმებულა ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისა და გაერთიანების პროცესში.

საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ ესმის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეს პოზიცია და განაცხადა, რომ პოტსდამის და სხვა სამოკავშირეო შეთანხმებებისა და ომის და ომისშემდგომი ხანის გადაწყვეტილებების განხორციელებაში დაწესებულმა საკუთრებითმა ურთიერთობამ უნდა შეინარჩუნოს თავისი ძალა. სხვაგვარი მიდგომა მძიმე ზიანს მიაყენებდა მილიონობით ადამიანის სოციალურ უფლებებსა და საარსებო ინტერესებს.

მოლაპარაკებამ მეგობრულ, საქმიან და კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩაიარა. (**საკდესი**).

საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა

ჰ. მოდროვის თანამხლები მინისტრების მონაწილეობით გაფართოებული შემადგენლობით საუბრის დამთავრების შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა ინტერვიუ მისცა საკდესის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის უფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიის კორესპონდენტებს.

კითხვა: როგორია საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ნატოში გაერთიანებული გერმანიის რაიმე ფორმით მონაწილეობისადმი?

პასუხი: ამას ვერ დავეთანხმებით. ეს სრულიად გამორიცხულია. ჩვენი აზრით, ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი ბუნებრივი პროცესია, და იგი თავსდება იმ კონცეფციაში, რომელსაც წინათაც გამოვთქვამდი: იმ რეალითან, რომელიც ისტორიამ დაგვიტოვა მემკვიდრეობად, იგი თავადვე განაგებს მას. ახლა, როგორც ვამბობთ, ისტორია უფრო სწრაფად ამოქმედდა. და ეფექტობ, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გერმანელთა ინტერესები, ჩვენ მზად ვართ ამისათვის. მაგრამ გერმანელებმაც და ყველა იმათაც, ვისაც დამოკიდებულება აქვს ამ პროცესთან, უნდა გაითვალისწინონ ორი გერმანული სახელმწიფოს მეზობლების, ყველა ევროპელის ბუნებრივი ინტერესები. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ გერმანიის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიო პოლიტიკაში, ასევე უნდა გავითვალისწინოთ მთელი მსოფლიო გაერთიანების ინტერესებიც. ამ პრობლემის გაუბრალოებლად არ შეიძლება. არ შეიძლება დიდ, საერთაშორისო საკითხებში, რომლებიც ეხება ისეთ ფუნდამენტურ რამეებს, როგორიცაა ხალხთა, თვით გერმანელთა, ევროპელთა, მთელი მსოფლიოს ინტერესები, ვიმოქმედოთ ნაჩქარევად, ასე ვთქვათ, ანაზდეულად. ამგვარი მეთოდი არ შეესაბამება დიდ პოლიტიკას. საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა, და ეფექრობ, ამით დაინტერესებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხიც. მას სურს იცოდეს, რა მოუვა, როგორია მისი ბედი, ყველა იმ თაობის ბედი, რომლებიც ცხოვრობდნენ და შრომობდნენ რესპუბლიკაში. ეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გერმანელთა ინტერესებსაც შეესაბამება. მათ სურთ იცოდნენ, რას მოითხოვს მათგან გაერთიანება. ამაზე, მგონია, სერიოზულად ფიქრობენ იქ მეწარმენი, ყველა საქმიანი ადამიანი. ეს ხომ ძალიან დიდი პრობლემაა. ამიტომ, როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ორი გერმანული სახელმწიფოს რეალური ცხოვრების თვალსაზრისით, ვფიქრობ, ეტაპობრივი წინსვლა გაერთიანებისაკენ, აწონ-დაწონილი მიდგომა სასაკეთოა. თუ ეს პროცესი დაკავშირებულია ევროპული დაახლოების პროცესთან, რომელიც, სხვათა შორის, იქნება ღირდეს დავაჩქაროთ კიდეც. ეს კი ნიშნავს, რომ სინქრონული იქნება ორივე პროცესი, მოიხსნება შეშფოთება, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, თუ ამას არ ვიზამთ. ეს შეშფოთება კი უკვე არის. ახლა უკვე ბევრს ლაპარაკობენ საზღვრებზე.

ბატონმა კანცლერმა უკანასკნელი დღეების მანძილზე შეიტანა ზოგიერთი კორექტივი თავის პოზიციაში ამ საკითხზე, და ამას აღვნიშნავ და მივესალმები, რადგან „მანევრები", გაურკვევლობა ასეთ ფუნდამენტურ რამეებში სერიოზული პოლიტიკის შესაფერი არ არის. ადამიანებს ყველაფერი მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი და იცოდნენ. ეს პირველი. მეორე. სად უნდა იყოს გაერთიანებული გერმანია? ვფიქრობ, თუ წარმართავთ ევროპისა და ვენის პროცესებში, გავალთ ჰელსინკი-2-ზე, ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებები სამხედროპოლიტიკური ორგანიზაციებიდან პოლიტიკური ორგანიზაციებად.

(**დასასრული** მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" ტკვარჩელის № 8 შახტში 1990 წლის 6 მარტს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დადუპულ მეშახტეთა ოჯახებს.

საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა

(დასასრული)

ლიტიკურ ორგანიზაციებად გარდაიქმნებიან — ეს ერთი სიტუაცია. და მაშინ საჭირო არ იქნება ეს საჯარო ვაჭრობა — სად უნდა იყოს გაერთიანებული გერმანია. ამას წინათ საუბრის დროს დასავლეთის სახელმწიფო ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მითხრა: ბატონო გორბაჩოვ, რატომ გაწუხებთ მაინცდამაინც თქვენ ეს საკითხი, გერმანელები ხომ უკვე აღარ არიან ძველი გერმანელები, შეიცვალნენ! დიახ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელებიც ერთგულობენ მშვიდობას, მათ ბევრი რამ გააკეთეს. და ეს ყველაფერი სწორია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ვუპასუხე მე, მოდით ასე დავთქვათ: რატომ უნდა შევიდნენ ისინი ნატოში, დაე, გარშავის ხელშეკრულებაში შევიდნენ, თუ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მეთქი. მაშინვე მომედავა: არაო, რატომაო. აქრიგად, ამ ჩემმა შეიგვედრმა წინადადებამ ბევრ რამეს მოჰფინა შუქი. მოდით ყველამ საფუძვლიანად ავწონ-დაწონოთ, გავიანგარიშოთ, ერთი სიტყვით, საქმე სერიოზულად ვაწარმოოთ.

ახლაც და ყოველთვისაც, თუ გახსოვთ, საგანგებოდ ვამბობდით ხოლმე, — ჩვენ მსოფლიოში, ევროპაში ისეთი ცვლილებების მოწმენი ვართ, რომლებიც დიდ ცვლილებებს მოგვიტანენ — ახალ ევროპას, ადამიანთა, სახელმწიფოთა, ხალხთა შორის ახალ ურთიერთობას. მაშასადამე ხელიდან არ უნდა გავუშვათ ეს შანსი. მაგრამ ეს ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. არ შეიძლება, იმის დანგრევა, რასაც ამდენი ძალ-ღონე შეგალიეთ. ყველაფერი ხომ, რაც ხდება, ათწლეულების მანძილზე საერთო მეცადინეობის ნაყოფია. არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითისაც, რომლიდანაც გამოგვაქვს დასკვნები. და ახლა, როცა დაისახა ისტორიული შანსი, მეტად პასუხისმგებლური უნდა ვიყოთ. აი, ასე ფართოდ მინდოდა მეპასუხა თქვენს მოკლე კითხვაზე. რადგან ყოველივე ეს მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანისათვის. აქტიურ და კონსტრუქციულ მონაწილეობას მივიღებთ მიმდინარე პროცესებში, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ააფეთქონ ევროპაში პოზიტიური ტენდენციები, რომლებიც ჩაისახა და ძალას იკრებს, შეაჩერონ ევროპული ქვეყნების ურთიერთობის განახლების პროცესი. ეს ჩვენთვის ამოსავალი პუნქტია.

კითხვა: თქვენ ბრძანეთ, რომ გერმანიაში მიმდინარე პროცესები, მეტად რთულია, რომ ისინი მოითხოვენ ყველას პასუხისმგებლობა მიდგომას. როგორ გგონიათ, ეყოფათ თუ არა პასუხისმგებლობა ახლა გერმანიაში არჩევნების წინ?

პასუხი: მოგეხსენებათ, არის დელეკატური სფეროები, საშინაო საქმეებში ჩარევა არ შეიძლება. ჩვენ მტკიცედ დავადექით ამ პოზიციას: არ ჩავერიოთ საშინაო საქმეებში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს ჩვენთვის ყოველივე ეს სულ ერთი იყოს, პირიქით, ზოგიერთ პროცესს თანაგვეგრძნობთ, ვსოლიდარობთ, ზოგიერთს ნეგატიურად ვაფასებთ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს არჩევანს თვით ხალხი ახდენს. ამიტომ, აქედან, მოსკოვიდან თვალს ვადევნებთ საარჩევნო კამპანიას, ვხედავ, რომ ზოგი ჩქარობს, ზოგს სურს თავს მოგვახვიოს თავისი შეხედულებანი, თავისი შეფასებანი. ვხედავ, რომ ცდილობენ ზეგაგლეწა მოახდინონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელებზე თავისი პარტიის, თავისი პოლიტიკური ანგარიშების ინტერესებისათვის. თქვენ ამ კითხვით პროვოკაციულად გამოიწვიეთ ჩემი პასუხი. იმედი მაქვს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც ისე არ გაიგებენ, თითქოს ამით ვერეოდე წინასაარჩევნო კამპანიაში. პირიქით, ვხედავ, თუ რამდენი ვიზიტორია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ახლა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და როგორ ერევიან ისინი მის საქმეებში, თითქოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უკვე დაეკარგოს სუვერენიტეტი, თითქოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე აღარ იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო გაერთიანებამ ცნო. იქ ყოველივე ეს არის. მაგრამ, დაე, თავად გერმანელები გაერკვნენ ამაში. მგონია, რომ ხალხმა თვითონ კარგად უნდა მოიფიქროს, გადაწყვიტოს, ვის მიანიჭოს პრიორიტეტი, რადგან ამ ეტაპზე განსაკუთრებით საჭიროა, რომ პარლამენტში, მთავრობაში, ხელისუფლების ყველა ორგანოში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლებათ საქმეს გაუძღვნენ პასუხისმგებლობით, ყველა დაინტერესებულ მთავრობასთან და ხალხთან თანამშემეგებით.

კითხვა: როგორ წარმოგიდგენიათ ერთიან გერმანიასთან სახელმოთა კავშირის მომავალი ურთიერთობა? შეიძლება თუ არა წარმოიქმნას თვისებრივად სხვა ურთიერთობა, ვიდრე წინათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გქონდათ?

პასუხი: ვფიქრობ, ურთიერთობა, რა თქმა უნდა, შეიცვლება. ეს-ეს არის ჩემი აზრი ვუთხარი ჰ. მოდროვის მთავრობის წევრებს. მგონია, რომ ამ ურთიერთობას კარგი პერსპექტივა აქვს. მაგრამ მაინც, ეს დამოკიდებულია, იმაზე, თუ როგორ ვიმოქმედებთ ახლა ერთად. ერთი მიდგომის შემთხვევაში შეიძლება დავუმატოთ, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ კიდეც თანამშრომლობა. მეორე მიდგომის შემთხვევაში — დავთესოთ ეჭვი, ნეგატივები.

ჩვენი ორმხრივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის, ვფიქრობ, ორივე მხარემ პასუხისმგებლობით უნდა იმოქმედოს. ჩვენ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი და ფართო კონტაქტები გვქონდა და გვაქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ჩვენ ყველაზე ფართო ურთიერთობა გვაქვს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ეს თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანია. გვინდა, რომ, როცა წარმართავ ბაგერთიანების პროცესი, იგი კი ეხება ყველა სფეროს, მათ შორის ეკონომიკასაც, ეს ინტერესები არ შელახოს არც გაერთიანებული გერმანიისათვის, არც გერმანელებისათვის და არც ჩვენთვის.

თუ შევეხებით გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობას, როგორც მოგეხსენებათ, მას დიდი ისტორია აქვს. ამ ურთიერთობაში ისეთი რამეც იყო, საიდანაც უნდა გამოვიტანოთ დასკვნები. ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმას, რაც მოხდა, როცა გერმანიის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ფაშიზმი, და რა მოუტანა ამან ჩვენს ხალხებს — საბჭოთა ხალხსა და გერმანელებს. და ჩვენ რომ გამოვიტანეთ დასკვნები, დავადექით მშვიდობიან გზას, დავიწყეთ ურთიერთობის გარდაქმნა ახალ საფუძველზე, ვთანამშრომლობთ ორმხრივი ინტერესებისთვისაც და მსოფლიოს ინტერესებისთვისაც — ყოველივე ეს ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა. ეს უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ეს ასეც იყოს. მაგრამ, როგორც იტყვიან, აქ ურთიერთინტერესებიც არის, და საჭიროა ნაცვალგება. ვფიქრობ, დიდი პერსპექტივებია. ვხედავ, რა ინტერესს იჩენენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გერმანელები, მეწარმენი ჩვენი სახელმწიფოების ინტელექტუალური, სამეცნიერო ძალისხმევის, ტექნიკური ბაზის, რესურსების გაერთიანებისადმი. ამას შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ჩვენს ხალხებსაც და ევროპასაც. ამ თვალსაზრისით ოპტიმისტი ვარ.

(საკდისის კორ).

სამშობლოს ისტორია ჩვენი ფასდაუდებელი კუთვნილებაა

6 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი. მისმა მონაწილეებმა — მეცნიერებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, გამსახკომს, საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციას, სხვა სამეცნიერო ცენტრებსა და შემოქმედებითს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, განიხილეს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის პროექტი.

თათბირს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაჟა გურგენიძე.

ჯერ კიდევ შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დავალებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სახალხო განათლების სამინისტრომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ და საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ისტორიკოსთა საზოგადოებამ შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის პროექტი. რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობამ ძირითადად მოიწონა პროგრამები, შეავსო იგი მთელი რიგი ღონისძიებებითა და წინადადებებით, რომლებიც გაითვალისწინეს პროგრამის პროექტის საბოლოო რედაქციის დროს.

განიხილეს რა პროექტი, თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი პროგრამის რეალიზაციის დროს საჭიროა გასაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიც არის საარქივო ფონდზე მუშაობის სისტემის სრულყოფა, სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებში საქართველოს ისტორიის უცნობი წყაროების ფამოვლენა და გამოკვლევა, საქართველოს ისტორიის წყაროების გამოსაცემად მომზადება, საქართველოში ახლანდელი ეროვნებათშორისი ურთიერთობის კვლევის გაუმჯობესება, რელიგიათა ისტორიის კვლევის გაფართოება, საქართველოს ისტორიის ერთტომეულის გამოცემა, საზღვარგარეთის ენციკლოპედიების რედაქციების სრული ინფორმირების მიზნით რუსულ და ინგლისურ ენებზე სპეციალური ბიულეტენების შედგენა, ეროვნული სულიერი და საერო კულტურის ძეგლთა გამოცემების სრული ნუსხის შედგენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია არადანიშნულებისამებრ მათი გამოყენების ფაქტების აღკვეთა, სამეცნიერო-პოპულარული ისტორიული ჟურნალის დაფუძნება და სხვა.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ პროგრამის მნიშვნელობა, რომელიც ფართოდგენს საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის შემადგენელ ნაწილს. იგი მოწოდებულია ახალ საფეხურზე აიყვანოს საქართველოს ისტორიის პრობლემათა ობიექტური კვლევა, ემსახუროს მისი პოპულარიზაციის კეთილშობილურ საქმეს, რათა მსოფლიოს ხალხები უკეთ გაეცნონ საქართველოს თავისთავადს ისტორიასა და კულტურას. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა წარმოებდეს ჩვენი ისტორიის სულისკვეთებისა და შინაარსის შესაბამის დონეზე, რომლის ძნელ გზებზე იშვებოდა ერის ტრადიციები, მისი ცხოვრების საფუძვლისა და აზრს რომ შეადგენენ. მრავალი მათგანი ყამთა სიავემ შთანთქა, და ახლა, ყურადღებით ფურცლავს რა თაფის ისტორიას, ხალხის განახლებული მზერა ახალ სიცოცხლეს შთაბერავს მათ და ამით მტკიცე ხიდს გადებს გარდასულ და მომავალ თაობებს შორის. სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას აღვადგინოთ ისტორიული ხსოვნა.

უახლოეს ხანს პროგრამის საბოლოოდ დახვეწილი პროექტი მიღებული იქნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით.

(საკინფორმი).

ᲨᲔᲜᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ

ასე მგონია გაზაფხული საკუთრად შენი დღესასწაულია. იგი, ხომ ბუნების განახლების დროა. ახალი სიცოცხლის ერთგვარი სათავეა, შენც სიცოცხლის საწყისს გიხმობენ... ალბათ, ამიტომ შენთვის ყოველი გაზაფხული მოვლენაა, ლამაზი დღეობაა, ამიტომაც აქვს წლის ამ დროს განსაკუთრებული ხიბლი.

იმდენი თქმულა და დაწერილა შენზე, იმდენი უმღერიათ შენთვის, იმდენი ბაგე დამშვრალა შენზე გალობით, ეშიშობ ახალი რაიმე გითხრა.

შენ ქალი ხარ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ყოველი დრო თავისას მოითხოვდა შენგან, და შენც ვალდებული იყავ მიჰყოლოდი მას. თავიდან ითვლებოდა, „დედაკაცს ქვეყანაზე მარტო სამი „უწმინდესი, უსამღვთოესი დანიშულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა, დობა“ და შენც ასრულებდი ამ ვალს, ასრულებდი კარგად, ფრიადზე.

გამოხდა ხანი.

იცვალა დრო. თურმე მხოლოდ ეს საკმარისი აღარ ყოფილა. დედაკაცს „დედობის, ცოლობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოების და ქვეყნის წინაშე და ყველაზე უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს“, — ბრძანებდა დიდი ილია. ასე იყოსო! კერიას ცოტა ხნით მოსცილდი, გამოხვედი გარეთ და აქაც ამოუდექი მხარში მამაკაცს, ქალის ტვირთზე უფრო მძიმე — დედაკაცობის ტვირთი იკისრე და თანაც როგორ! მალე საჩინო შეიქნა — თურმე, დედობის, ცოლობის გარდა სხვაც ბევრი რამ შეგძლებია. რასაც ნელი მოჰკიდე, ყველაფერში ჩაატანე საკუთარი რაობის წილი, თითქოს ყოველ საქმეში შენგან ქმნილში გამოჩნდა შენივე ქალური ბუნება.

მარტო თამარის გახსენება რად ღირს — მისი სიბრძნის ძალი, მისი დარბაზი რომ განაგებდა მორჭმით ქვეყანას, ოქროს ხანა რომ ედგა სამშობლოს! იყო... იყო...

დრონი იცვალნენ.

შენშიც შეიცვალა რაღაც, უმთავრესი კი მაინც იგივე დარჩა. მეცნიერება ამ უმთავრესს, ალბათ, გენეტიკურ ან სხვა რაიმე ამგვარს დაარქმევს, ეს ის არის, უტუაარად ყველა დედაკაცში რომ აღმოჩენ — პრეზიდენტშიც და შინამოსამსახურეშიც, ეს ის მარად ქალური ნიშატია შენი, გაქრობა რომ არ უწერია, რადგან შენ ჯერ ქალი ხარ და მერე ქვეყნის გამგებელი, მერე სტიუარდესა, მერე — ყვავილების გამყიდველი.

„არის ერთი რამ... რაც ყველაზე უფრო მაინტერესებს. ეს არის ქალი. მე უდიდესი ყურადღებით ვაკვირდები მათ და გარკვეული დასკვნები გამოვიტანე — ქალთა მეოხებით ვინარჩუნებთ სამყაროს... მამაკაცებს ჯიუტად სურთ ქვეყნის გადატრიალება, ქალები კი სულ ცდილობენ შეინარჩუნონ კეთილგონიერება, თუგინდ ამის გამო სიძულვილს ან დამცირებას იმკიდნენ“. არა, ეს სიტყვები ქალს როდი ეკუთვნის. ეს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესია შენზე ასეთი მაღალი აზრისა.

დღეს, ჩვენს გაუწონასწორებელ და ურთულეს ეპოქაში, როდესაც ყოველი დღე სავსეა მოულოდნელობებით და არ იცი რას მოგტანს ხვალინდელი, კიდევ უფრო იზრდება მისია შენი.

დღეს ჩვენი ციცქნა, ღვთისშობლის წილხვედრი ქვეყანა ისტორიულ გზაჯვარედინზე დგას. დღევანდელმა არსებითად უნდა განსაზღვროს მერმისი, დღეს მოუდედ დადებული ბალავერი ხვალ ძნელი გასასწორებელი იქნება. ამიტომ, როგორც არასდროს, საჭიროა გონიერება, მოვლენათა ღრმა ანალიზი, ტაძრისაკენ მიმავალი ერთადერთი გზის სწორად ამორჩევა. ერთი რამ ცხადია — ამ გზამ გონიერებაზე უნდა გაიაროს, და აი, აქ სიტყვა შენ გეძნელებოდის ქამს არაერთხელ ყოველთვის გამორჩეულად დაფასებული საქართველოში.

სოლომონ ბრძენს, გაოცებულს და აღფრთოვანებულს საკუთარი დედის მხნეობით, კეთილშობილებით, ქველმოქმედებით, უთქვამს: „დედაკაცი მხნე ვინ საპოვნოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისაო“, ან, ამგვარი დედაკაცები უძვირეს სანახავნი არასდეს ყოფილან საქართველოში. ალბა, მაშ, რად აგებდნენ ხმლებს ქარქაშებში ერთმანეთს მტრად წაკიდებული ვაჟკაცები მათ შორის ჩაგდებული შენი მანდილის გამო. მაშ, რატომ გეთაყვანებოდნენ აგრერიგად!

კიდევ იცვალნენ დრონი. დროსავე გაჟავა ბევრი საამაყო ტრადიცია, რომლითაც დღესაც ასე ამაყობს ქართველი. ეამა სიცივემ, მომხდურთა საუკუნეობრივმა ბატონობამ თავისი ქნა.

მოგენატრება ხოლმე ძველი დროება. სურვილიც გეძალება — ძველ აღორძინდეს კეთილშობილი ტრადიციის ზოგიერთი მთლად არგამხმარი ყლორტი. ამინ, ისმინოს უფალმა!

გაზაფხულია.

შარშანაც მოვიდა გაზაფხული, მწარე გაზაფხული... და შენ თავზე მიიღე არამზადული დარტყმა! ყველაზე უფროსი 73 წლის ანდილოსანი იყო, ყველაზე უმცროსი — 15 წლის გოგონა. „ჯობეთია გასახსენებლად“... არგასხენებაც არ იქნება!

ძველადაც ბევრი გაზაფხული მოგა. ყველაზე დიდი გაზაფხული შენთვის კი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა აგსრულებოდეს ნატვრა — გამეხოს შენი საქართველო ერთიანი და თავისუფალი. და ეს დღესასწაული შენსავით ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყოს მუდამ!

საქართველოს უკვდავება

ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ლაგოდეხში რაისა და მიხეილ ცისკარიშვილს ყველა გულთბილად ხვდება. ამის საბაბი ცოლ-ქმრის ტკბილი ოჯახი, შრომისმოყვარეობა და სამაგალითო ქართველობაა. ცისკარიშვილების ოჯახის დიდებულებას მათი მრავალშვილიანობაც მეტყველებს: ისინი ხუთ ვაჟსა და ორ გოგონას ზრდიან.

ამხელა ოჯახს რჩენა უნდა და მიხეილი და რაისა სამაგალითოდაც შრომობენ. შინ კი მათ ბავშვების ბებია ეხმარება.

მიხეილმა სამი ჰექტარი ჩაიბარა იჯარით, სადაც საზამთრო, კომბოსტო, კიტრი და ებერეზეთოვანი კულტურები მოჰყავს. შარშან ამ სამ ჰექტარზე ოცი ათას მანეთამდე ღირებულების პროდუქცია აწარმოვა. აქედან მას 13 ათას მანეთზე მეტი შრომის გასამრჯელოდ ერგო.

მრავალშვილიან ოჯახს სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელობამაც წაუშველა ხელი. თორმეტოთახიანი, მშვენიერ კარმიდამოიანი სახლი უყიდეს — ღირებულების 60 ათასი მანეთიდან 40 ათასი კოლმეურნეობამ გადაუხადა, 20 ათასი მანეთი კი რაისაბჭოს აღმასკომმა სესხად უბოძა. გამრჯე ალეს განა გაუჭირდება სესხის გადახდა. წლეულს ოჯახური იჯარით ხუთ ჰექტარზე ბოსტეულს მოიყვანს, სესხსაც დაფარავს და კიდევაც დარჩება. ოთახებს კი კეთილი მეზობლებისა და ნათესავების ნაჩუქარი ავეჯით დაამშვენებენ. მარჯვენა და ოჯახი გიკურთხოთ ღმერთმა ცისკარიშვილებო!

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

* * *

სურათზე: ცისკარიშვილები შვიდ შვილთან და ბებიასთან ერთად.

თეიდო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲐᲮᲣᲥᲔᲗ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ!

ქალთა თანასწორუფლებიანობის, ემანსიპაციის, შრომითს ვახტში ქალთა წვლილის შესახებ ტრადიციული სიტყვების გვერდის ავლით ქალთა საერთაშორისო დღე საქართველოს დედაქალაქში 6 მარტს აღინიშნა დიდი კონცერტით, რომელიც თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა.

დარბაზი აჩრელებული იყო ყვავილებით, რადგან ყოველ შემოსულ ქალს მიართმევდნენ ხოლმე თბილისელებისათვის უსაყვარლეს მიხაკს. კონცერტის დაწყება მილოცვის სიტყვებით აუწყა დამსწრეთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გურამ საღარაძემ, აუდიტორიას ნაღველმა გადაურბინა სახეზე, როცა ახსენეს გასული წლის გაზაფხული, აპრილის ტრაგიკული დღე, რომელმაც უდანაშაულო ქალთა სიცოცხლე შეიწირა. მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, სიყვარული მისდამი არ ქრება, სანამ ადამიანი სუნთქავს და იმედოვნებს.

კონცერტის პროგრამას უძღვებოდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ჯულიეტა ვაშაყმაძე. ოპერების არიებს ცვლიდა ლირიკული სიმღერები მედეა ძძიგურის და ანსამბლ „ოთხი გიას“ შესრულებით. გულთბილი ღიმილი გამოიწვია სცენაზე პატარების — ქალაქ „მზიურის“ ბავშვთა მუსიკალური თეატრიდან ირმა სოხაძის მოწაფეთა გამოჩენამ. როგორც ყოველთვის, ტაშით დაჯილდოვეს ცეცხლოვანი ქართული ხალხური და მთიულური ცეკვები. დარბაზი გულწრფელად იცინოდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ქართლოს კასრაძის იუმორისტულ მოთხრობებსა და ბიძინა მახარაძის პაროდიებზე.

(საკინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ბაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა გ. ხ. ემირიძე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმის მუშაობის დაწყებამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე შეხვდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ჯგუფს, ინტელიგენციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტისა და აჭარის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნებს, სადაც განიხილეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტის შესაძლო კანდიდატები.

ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია თ. ს. ხახვა, რომელიც წინათ მუშაობდა ამავე საოლქო კომიტეტის მდივნად, უკანასკნელ ხანს კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში პასუხისმგებელ მუშაკად.

პლენუმზე გამოვიდა გ. გ. გუმბარიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე ნ. რ. სჯაია.

(საკინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების გაერთიანებისა და მთის საფუძველზე ზუგდიდის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ამავე ბიუროს გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ გაერთიანებულ ორგანიზაციათა პარტიული კონფერენციის მოწვევამდე ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოდ მიჩნეულ იქნეს ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი.

გაიმართა ამ ორგანიზაციების გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს სამი კანდიდატურა.

ფარული კენჭისყრის შედეგად პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია გ. ი. გუნავა, რომელიც საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ა. ჭითანავა.

(საკინფორმი).

წერილი „კომუნისტს“

რამდენად მიზანშეწონილია?!

ბაზეთ „კომუნისტის“ მომდინარე წლის 3 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული შენიშვნა „ვის ვასახელებთ?“, რომელსაც ხელს აწერენ თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის მოსწავლეები. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ პედაგოგთა ასოციაციამ ჩემი კანდიდატურა დაასახელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამის საფუძვლად მოჰყავთ ის, რომ თითქოს მე ტექნიკუმში დირექტორის მოადგილედ მუშაობის დროს თავი გამოვაცალინე როგორც კონფლიქტურმა და შეუფერებელმა პიროვნებამ და ამიტომ გამათავისუფლეს ამ თანამდებობიდან. მოგახსენებთ, რომ მოსწავლეები, რომლებიც წერილს ხელს აწერენ, ჩემთვის უცნობნი არიან, არავითარი ურთიერთობა მათთან არ მქონია, თანაც ისინი, ჩანს, ასრულებენ სხვის ნებას და არ ეყრდნობიან ობიექტურ მონაცემებს. ტექნიკუმის ძველი ხელმძღვანელობის სამუშაოდან განთავისუფლება მე სწორად არ მიმაჩნია და იგი საბოლოო გარკვევას მოითხოვს. მე მადლობელი ვარ პედაგოგთა ასოციაციის პრეზიდიუმისა, რომელმაც ჩემ მიერ გაწეული შრომა დაიფასა და წამოაყენა ჩემი კანდიდატურა.

გთხოვთ, ჩემი ეს განმარტება გამოაქვეყნოთ სწორედ 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს.

პატივისცემით

დოდო ᲨᲣᲑᲘᲗᲘᲫᲔ.

რედაქციისაგან: როგორც მკითხველისათვის ცნობილია, თბილისის სავაჭრო ტექნიკუმის მოსწავლეთა შენიშვნა შეეხებოდა იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია რესპუბლიკის სამასადგილიან პარლამენტში სამუშაოდან დათხოვნილი პიროვნების წამოყენება. რაც შეეხება ტექნიკუმის ძველი ხელმძღვანელობის სამუშაოდან განთავისუფლების გარემოებათა საკითხს, იგი ფიქსირებულია შესაბამისი ორგანოების მიერ.

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ: ᲡᲘᲜᲔᲚᲘᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲡ

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომამ განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზაზე შექმნილი მდგომარეობა. იგი კი მართლაც არ არის სანუგეშო, რადგან სამსახურებსა თუ განყოფილებებში ვერ მიაღწიეს მდგომარეობის ჭირეული გაუმჯობესების, მუშაობაში პოზიტიური პროცესების დამკვიდრებას.

გზაზე შექმნილი რთული მდგომარეობა, როგორც სარკეში, ისე ირეკლება ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის კვანძის მუშაობის ფონზეც.

ახლა ზამთარია, მისი სუსხი და სიმძლავრე განსაკუთრებით იგრძნობა ხაშურ-ზესტაფონის გადასარბენზე, ჭირს უღელტეხილზე მოძრაობა. ასეთ შემთხვევაში სარკინიგზო შემადგენლობას ე. წ. მიმწოლი ელმავლით აძლიერებენ, რაც თავისთავად დამატებით ხარჯებთან კი არის დაკავშირებული, მაგრამ, სამაგიეროდ, დამატებითი ელმავალი, გარდა იმისა, რომ აკავებს ტექნოლოგიურ ციკლს, ოპტიმალურს და უსაფრთხოს ქმნის ამ ურთულეს სარკინიგზო უბანზე მატარებლების მოძრაობას.

თითქოს ყველაფერი ნათელი და გასაგებია, მაგრამ ვინც ამ დამატებითი ელმავლის საკითხს გაეცნობა ხაშურის რკინიგზის კვანძში, დარწმუნდება, რომ საქმე არც ისე მარტივად ყოფილა. ამას ადასტურებს თუნდაც დეპოს ხელმძღვანელობისა და მისი შრომითი კოლექტივის წერილი, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებას შარშან ივლისში გაეგზავნა. მასში ხაშურელი რკინიგზელები გზის ხელმძღვანელობას თხოვენ გაზარდონ წნევის რეჟიმი ხაშურ-ზესტაფონის უბანზე და უზრუნველყონ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

ეს ისეთი „გულმავიწყობაა“, რომელსაც ვერაფრით გაამართლებ. ან თუნდაც ამის სხვა შემთხვევაც: ახალი სავაგონო დეპოს შენობა ობლის კვერივით „ცხვებოდა“, დიდხანს აშენებდნენ — ეს სუბიექტური მიზეზებით, ეს ობიექტური სიძნელეებიო. დეპოს კოლექტივი კი მოთმინებით ელოდა ობიექტის დამთავრებას, რასაც სამართლიანად უკავშირებდნენ მომავალ მუშაობაში გარდატეხის იმედს.

და აი, ამ ოთხიოდე წლის წინათ სავაგონო დეპოს მშენებლობა, როგორც იქნა, დასრულ

ღვაწლი

შემოქმედებითი ცხოვრების შუქ-ჩრდილები

— **რატომ** მიგვატოვეთ, ქალბატონო ნანა?

— მესმის ერთი და იგივე შეკითხვა უბრალო ადამიანებისა, და ვგრძნობ, რომ ნანა დემეტრაშვილი, დღეს უკვე ახალციხის სტუმარი, ამ რამდენიმე წლის წინათ ბევრად მეტი იყო, ვიდრე თეატრის ხელმძღვანელი. მრავალრიცხოვან კითხვებს ნანა ნაღვლიანი ღიმილით უპასუხებს, და თუმცა არ მალავს ინტერესს საყვარელი თეატრისადმი, წასვლას ბუნებრივ ფაქტად მიიჩნევს.

— მე არ მომიტოვებია თეატრი. ხდება ხოლმე... ვითარება ისე დაიძაბა, რომ ვგრძნობდი, დასი ორად უნდა გაყოფილიყო. განზეთქილებას წამოსვლა ვარჩიე. იქნებ შევცდი კიდეც, არ ვიცი. ასეა თუ ისე, ჩემთვის ეს დიდი ტკივილია, და მართლაც, როცა ახალციხეში ვარ, თეატრს გვერდს ვუვლი...

ნანა დემეტრაშვილი ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მესხეთის თეატრს; უფრო მეტიც, სწორედ ის არის ახალციხის პროფესიული თეატრის ამღორძინებელი. იქის თაობაზე, თუ როგორ ქმნიდნენ ერთმანეთს თეატრი და მისი ხელმძღვანელი, ბევრს წერდა პრესა. ოცდაექვსი წლისა ჩავიდა ნანა დემეტრაშვილი ახალციხის თეატრში სამუშაოდ. თეატრში-მუთქი ვამბობ, თორემ სინამდვილეში ეს იყო კულტურის სახლად წოდებული საკლუბო შენობა, რომლის ეგრეთ წოდებულ ფოიეში დედაბოძივით იდგა თუნუქის ღუმელი. სათეატრო დასში სამი მსახიობი ირიცხებოდა: თამარ ჩერქეზიშვილი, ნიკოლოზ ზამბახიძე, ოთარ აწყურელი — შემდგომში დასის ღვაწლმოსილი წევრები. სულ მალე ნანა დემეტრაშვილმა, თავად ახალგაზრდა რეჟისორმა, ქართული ხელოვნებისათვის სამსახურის ჟინით აღანთო თეატრალური ინსტიტუტის და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული და ახალციხის თეატრს ახალგაზრდა პერსპექტიული დასი შუქმნა. პირველი წარმოდგენა ოთარ ჩხეიძის „თედორე“ გახლდათ. დასმა პირველივე სპექტაკლით განსაზღვრა თავისი შემოქმედების მთავარი თემა — სამშობლოსა და ადამიანის ღირსების დაცვა. გულიდან ამოთქმულმა სიტყვამ კარგი გამგები პოვა მესხეთ-ჯავახეთსა და მთლიანად საქართველოს მაყურებელში. ამიტომ იყო, რომ მესხეთის თეატრმა უმალ დაიმკვიდრა საქართველოში უაღრესად საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივის სახელი.

— გაგიკვირდებათ, მაგრამ „თედორეზე“ მუშაობისას ზოგიერთები გვირჩევდნენ ამოგვეღო პიესის ტექსტუალური მასალიდან ისეთი სიტყვები, როგორიც არის: „...და, გადაეცათ შვილთა თქვენთა, შვილთა მრავალთა, მხოლოდ სიმრავლე გადაგვარჩენს და ერთპიროობა... მხოლოდ სიმრავლე, ერთპიროობა, სხვა არა გვინდა, რომ ჩვენს მიწა-წყალს ჩვენ თვითონვე დავეპატრონოთ“. ეროვნულ-პატრიოტული პათოსის გამომხატველი სიტყვები მრავლად არის ოთარ ჩხეიძის პიესაში და თითქმის ყოველი ასეთი მონაკვეთისადმი ოფიციოზს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდა.

მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, სათქმელი ბოლომდე გვეთქვა, მაყურებლის იმედი გვქონდა. გვჯეროდა — გაგვიგებდა, რადგან, ჩვენი აზრით, მთავარ სასიცოცხლო ძარღვს ვეხებოდით. მე ახლაც მწამს, რომ სხვაგვარად ხალხთან საუბარი არ შეიძლება.

მესხეთის თეატრის განახლება, რომელიც თავისი მნიშვნელობით დაბადებას უდრიდა, გულწრფელი სიხარულით მიიღეს როგორც ადგილობრივმა მაყურებელმა, ისე თბილისიდან ჩამოსულმა თეატრის მოამაგეებმა. თეატრს წარმატება ხვდა წილად ბაკურიანის ახალგაზრდა შემოქმედთა სიმპოზიუმზეც — იმხანად თითქმის ერთადერთ შეკრებაზე, სადაც შესაძლებელი იყო ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე კრიტიკული და პრინციპული მსჯელობა.

— ჩვენ პირველივე ზეიმს შემდგომი მოჰყვა, ასეთივე განუზომელი — ახალი შენობა მივიღეთ. უაღრესად სასიხარულო და პრესტიჟული იყო ჩვენი თეატრის ათი და ახალციხეში თეატრის არსებობის 103 წლისთავის აღნიშვნა, შემდეგ გასტროლები მოსკოვში, სადაც წარმოვადგინეთ აკაკი გეწაძის „პაემანი ცაში“.

ყოველდღიურობა? ყოველდღიურობა დატვირთული იყო ძირითადი და გასვლითი წარმოდგენებით. ჩვენ ვემსახურებოდით ახალციხის რაიონის ორმოცდაექვს სოფელს. ამავე დროს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბორჯომის რაიონებსა და სოფლებს. მოგეხსენებათ, სარაიონო თეატრისათვის არ არსებობს ავდარი და უგზობა. იმდენად უცნობ სოფლებში გვივლია, რომ ხშირად გზაც კი აგვბნევია, მაგრამ ურულმა საქართველომ“, „კომუნისტმა“, „ახალგაზრდა კომუნისტმა“, „სოვეტსკაია კულტურამ“ და სხვა ბეჭდვითმა ორგანოებმა. პუბლიკაციების ავტორები ფართოდ განიხილავდნენ თეატრის შემოქმედებითს სახეს, თამამი სათეატრო ესთეტიკითა და ორიგინალური მხატვრული ძიებებით რომ იყო გამორჩეული.

მაგრამ თეატრი არ იყო მხოლოდ ზეიმი... იყო სიძნელეები, დროდადრო მაინც უფრო იძაბებოდა ატმოსფერო...

— კონფლიქტის რეალურობა მაშინ ვიგრძენი, როდესაც თეატრის ახალ შენობას, რომელსაც სათუთად ვუვლიდით, ხანძარი გაუჩნდა.

დამწვარი შენობის ნაწილი მალე აღვადგინეთ, გაჭირვებამ მიჩვენა, რომ მეგობრები ჰყოლია ჩვენს თეატრს. უამრავმა კერძო პირმა და დაწესებულებამ უანგაროდ გადმოგვცეს საშენი მასალა, სხვა სახსრები, რამაც განაპირობა ის, რომ არც ერთი დღით არ შეგვიწყვეტია სპექტაკლების ჩვენება. რაც შეეხება თეატრის შიგნით კონფლიქტს, მისი „შეპათქაშება“ ძნელი აღმოჩნდა, ერთხელ გაჩენილმა ბზარმა თავისი ქნა. ამგვარად რეჟისორისა და მსახიობის საბედისწერო კონფლიქტს ვერც მე გადავურჩი და თეატრი მივატოვე.

უთეატროდ და უსახლკაროდ დარჩენილს დახმარების ხელი პირველად თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ეთერ გუგუშვილმა გამომიწოდა, — თხოვნაც არ დამაცადა, ისე მიმიღო ინსტიტუტში სამუშაოდ. აი, ბინა კი დღემდე ვერ მეღირსა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილება ჩემი ბინით დაკმაყოფილების შესახებ კარგა ხანია არსებობს. მაგრამ ეს არაფერი, მე უფრო სხვა რამ მაწუხებს. დღეს უკვე ყოველ სარდაფში შეიძლება თეატრის გახსნა, ჩვენ კი არაფერს ვაკეთებთ ამისათვის, არ ვიცი, ეს როგორ გავიგო... დიახ, ისევ თავიდან მინდა დავიწყო ყველაფერი...

დღეს, როდესაც წარსულ დროში ვლაპარაკობთ მესხეთში ნანა დემეტრაშვილის მუშაობის შესახებ, საკმელს ისევ ფაქტები მიყალიბებს: ნანა დემეტრაშვილი ის ადამიანია, რომელმაც აღადგინა ახალციხის თეატრი, შექმნა დასი, სადაც თორმეტი მსახიობი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გახდა, დააარსა საბავშვო თეატრი, რომელიც დღესაც არსებობს და ისევ ახალციხის თეატრი შეფობს.

— მინდა ახლა მაინც ვუთხრა დაგვიანებული მადლობა ყველას, ვინც მხარში მედგა, განსაკუთრებით თბილისის ცენტრში გაზრდილ ახალგაზრდობას — გალინა პატარიძეს, სოსო ბაკურაძეს, ლია თევზაძეს, ნოდარ მწარიაშვილს, პიერ ქადაგიშვილს, ზაზა ილურიძეს, ვინც ძალა და ჯანმრთელობა არ დაზოგა მესხეთში ქართული მხატვრული სიტყვის დამკვიდრებისათვის. ჩვენ ბევრი რამ დაგვრჩა განუხორციელელი, გვინდოდა ისტორიულ თემებზე შექმნილი სპექტაკლების ვარძიის ფესტივალის დანერგვა, ერთი ასეთი წარმოდგენა გავმართეთ კიდეც. გვინდოდა თოჯინების თეატრი მოგვეწყო ბავშვებისათვის. კიდევ ბევრი რამ შევიძინეთ, ბევრი დაკარგეთ, რაც მთავარია, დაგკარგეთ ერთგული მეგობრები, მსახიობები მეგი თუშიშვილი, ნუგზარ მაჭავარიანი, ბესო ლომინაძე და სხვები.

ნანა დემეტრაშვილი ქვეყნისა და თავისი ხალხის წინაშე ვალმოხდილი ხელოვანია. ღვაწლი სათანადოდაც დაუფასდა — საქართველოს სახალხო არტისტი, შრომის წითელი შრომის ორდენოსანი. ახლაც ნაყოფიერად მუშაობს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრში. კვლავ უსაზღვროა მისი სიყვარული მესხეთისადმი... ამიტომაც არის, ცრემლი ადგება თვალზე, როცა ეკითხებიან,

— რატომ მიგვატოვეთ, ქალბატონო ნანა?

ეთერ ოკუჯავა.

ხელოვნების სამყაროში

„ნინო“: ორმოცი ქალიშვილი და...

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ქალთა ქორეოგრაფიული ხალხური ანსამბლი გახდა ორგზის ლაურეატი მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალებისა, რომლებიც ტრადიციისამებრ პოლონეთში იმართება.

— ჩვენს კოლექტივში, — თქვეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელებმა თინა ცხაკაიამ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ოთარ პაპიაშვილმა, — ორმოცი ქალიშვილი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი თოთხმეტი წლისაა, ყველაზე უფროსი კი — 22, და სამი ვაჟია: მართალია, ბევრ, ტრადიციულად მამაკაცთა ცეკვას ჩვენი გოგონები ასრულებენ, მაგრამ არის მინიატურები, სადაც ვუჯაჭიოდ არაფერი გამოგვივა...

ანსამბლის ქორეოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტისტი მანანა აბაზაძე.

— „ნინო“ ახალგაზრდა ანსამბლია არა მარტო შემადგენლობით, არამედ ასაკითაც — იგი სულ სამი წლისაა. მის ხელოვნებას უკვე გაეცნენ მოსკოვში, კიევში, საზღვარგარეთ — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში. ახლა კოლექტივი ემზადება ისრაელში საგასტროლოდ.

• • •

სურათებზე: „სამაია“ ეკა ქებურიას, მაკა ბასიასა და სალომე ჩაჩუას შესრულებით. ცეკვა „სადარბაზო“.

ვალხაზ დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

უცხოეთიდან

საკდესი იუწყება
7 მარტი

ავღანეთი: შეთქმულება ჩაიშალა

პრეზიდენტ ნაჯიბულას მიმართვა ხალხისადმი

ქაბული. ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნაჯიბულამ ეროვნული ტელევიზიით მიმართა ხალხს.

10 წელიწადია ავღანეთის მიწა-წყალზე გრძელდება სისხლისმღვრელი ომი, თქვა მან. გარეშე მტრები და მათი მომხრეები ქვეყნის შიგნით ცდილობენ ჩაფუშონ ეროვნული შერიგების პოლიტიკა, გააფართოონ ავღანეთში სისხლის ღვრის მასშტაბი. ეს შეთქმულებანი, რესპუბლიკის წინააღმდეგ გარედან აგრესიასთან ერთად, ეწყობა ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით.

ამ ცოტა ხნის წინათ, აღნიშნა პრეზიდენტმა, გამოაშკარავდა გულბედინ ჰექმეთიარის ორგანიზაციის იატაკქვეშა ქსელი. მასში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც უგულებელყოფდნენ მშვიდობის დამყარების ინტერესებს, ისახავდნენ პირად ანგარებითს მიზნებს. ექვს მარტს კი სამშობლოს მოღალატეებმა და გარეშე მტრის დამქაშებმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის შაჰ ნავაზ ტანაის მეთაურობით და პაკისტანის სამხედრო დაზვერვის ლოცვაკურთხევით, გულბედინ ჰექმეთიართან ერთად, განახორციელეს სამხედრო აქციები ქაბულის სახელმწიფო და სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ.

დედაქალაქში დისლოცირებული ავღანეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილების დროული და გაბედული მოქმედების შედეგად ტანაის მომხრეთა მიერ სამხედრო გადატრიალების ცდა აღკვეთილია. შეიარაღებული ძალების ყველა ნაწილსა და ქვანაყოფს მიეცათ მითითება ცოცხალი ან მკვდარი ხელით იგდონ მომალული ტანაი და წარუდგინონ უმაღლეს სარდლობას. ყველა თანამემამულემ ხელი უნდა შეუწყოს ამას.

ნაჯიბულამ მოუწოდა შეიარაღებულ ძალებს მოსპონ შეთქმულების ნაშთები, ხოლო ქაბულელებს — დაიცვან სიმშვიდე.

იმავე დღეს გამოქვეყნდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელშიც მან მოუწოდა იმ პირთ, ვინც მოტყუების გზით გარეული აღმოჩნდა ჰექმეთიარ-ტანაის შეთქმულებაში, რაც შეიძლება მალე დასტოვონ მოღალატეთა ბანაკი და დაეხმარონ შეიარაღებულ ძალებს საშინაო მტრის მოსპობაში. პრეზიდენტმა ასევე ადამიანებს დაუდგინა მთავრობის ჯარების მხარეზე გადასვლის ბოლო ვადა — 7 მარტის დილის 4 საათი. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მათი უშიშროება და ხელშეუხებლობა.

ქაბულის რადიომ გადასცა დედაქალაქის თავდაცვის საბჭოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ შეთქმულება ჩაიშალა, ქალაქში ნორმალური ვითარებაა.

ისლამაბადი. პაკისტანის დედაქალაქში სამშაბათს გაიმართა ოპოზიციური დაჯგუფების „ავღანეთის ისლამური პარტიის“ ლიდერის გულბედინ ჰექმეთიარის პრესკონფერენცია. მან განაცხადა, რომ ქაბულიდან მიიღო ავღანელი ოფიცრების ჯგუფის თხოვნა დახმარების თაობაზე, რომლებიც სამხედრო გადატრიალების მოწყობას შეეცადნენ, და აღუთქვა მათ აქტიური შეიარაღებული მხარდაჭერა. „ავღანეთის ისლამური პარტიის“ ლიდერმა აგრეთვე აღნიშნა, გამორიცხული არ არის ახალი აქციის მოწყობა, რომლის მიზანი იქნება ქაბულის ახლანდელი რეჟიმის დამხობაა.

არგენტინა: „კატასტროფიდან“ თავის დასაღწევად

ბუენოს-აირესი. არგენტინის მთავრობამ გამოაქვეყნა ღონისძიებათა ახალი პაკეტი, რომელთა მიზანია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია. ეკონომიკის მინისტრმა ანტონიო ერმან გონსალესმა „კატასტროფული“ უწოდა სიტუაციას, რომელშიც არგენტინა აღმოჩნდა. მისი მთავარი პრობლემებია მზარდი ინფლაცია და უზარმაზარი საბიუჯეტო დეფიციტი.

მორიგი ოფიციალური გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფო ხარჯების მკვეთრ შემცირებას ეროვნული ბიუჯეტის ყველა მუხლის მიხედვით ეკონომიის გზით. უქმდება სამინისტროების განყოფილებებისა და სამმართველოების დიდი ნაწილი. სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში მცირდება საპენსიო ასაკს მიღწეული მთელი პერსონალი, ამავე დროს იყინება სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მთელი რიგი პროექტები, ისპობა ზარალიანი სახელმწიფო ბანკების ნაწილი. სხვა ღონისძიებათა შორის არის სამგზავრო გადასახადის საყოველთაო გაზრდა, 100 და მეტი პროცენტით ბენზინისა და სხვა სახეობათა საწვავის გაძვირება. უახლოეს დღეებში ნავარაუდევია გაზრდილ ელექტროენერგიის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ტარიფები.

აშშ: სენატორი აკრიტიკებს

ვაშინგტონი. ავტორიტეტულმა ამერიკელმა სენატორმა, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ კლეიბორნ პელმა (დემოკრატი, როდ-აილენდის შტატისაგან) სერიოზულად გააკრიტიკა დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობის პოზიცია ევროპაში ომისშემდგომი საზღვრების საკითხზე. მისი თქმით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუტ კოლმა „არაორეოფფულად უნდა ცნოს“ პოლონეთან არსებული საზღვრები და მათი გადასინჯვის შეუძლებლობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შესაძლო გაერთიანების“ შეთხვევაში. „ასეთი გარანტიების მიცემის უფლებამა, — თქვა ამერიკელმა სენატორმა, — შეიძლება სერიოზული შეშფოთება გამოიწვიოს პოლონეთში, ესე იგი ქვეყანაში, რომელშაც 6 მილიონზე მეტი მოქალაქე დაკარგა, რომლებიც ნაცისტური გერმანიის ხელით დაიღუპნენ“.

სტატისტიკური კორტრეტი

ფრანგები შინ და სამუშაოზე

როგორია ფრანგი ქალებისა და მამაკაცების ცხოვრების რიტმი? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა გამოკითხვა, რომელიც ამას წინათ საფრანგეთის სტატისტიკისა და ეროვნული კვლევის ინსტიტუტმა მოაწყო.

ქვეყნის აქტიური მოსახლეობა საკმაოდ მყარად დადგენილი გრაფიკით მუშაობს, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოდ მერყეობს. კერძოდ, მამაკაცთა 70 პროცენტი მუშაობს 8.30 საათიდან შუადღემდე, ხოლო შემდეგ 14-დან 16.30 საათამდე. ქალთა 65 პროცენტი — 9-დან 12 საათამდე და აქედან 60 პროცენტი კიდევ — 14-დან 16.30 საათამდე.

სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, გამოკითხული ოთხი მამაკაციდან მხოლოდ ერთი მონაწილეობს ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში, ყოველი მეორე ქალისაგან განსხვავებით. თავისუფალი დრო, როგორც წესი, საღამოზე მოდის და ფრანგთა დიდი ნაწილი მას ტელევიზორთან ატარებს, მომუშავე ქალთა და მამაკაცთა მხოლოდ 15 პროცენტი არ უყურებს ტელევიზორს.

თუ მოსამსახურეთა და თავისუფალი პროფესიის ადამიანთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა პრაქტიკულად თანაბარია, მუშა საწარმოში გაცილებით მეტ ხანს არის დასაქმებული— 18.30 საათამდე (80 პროცენტი) და 19 საათის შემდეგაც კი. შესაბამისად მათ ნაკლები დრო რჩებათ დასვენებისათვის.

სოფლის მცხოვრებები თითქმის უგრაფიკოდ შრომობენ — დილის შვიდი საათიდან საღამოს რვის ნახევრამდე, ზაფხულში კი — გაცილებით მეტ ხანს. დასვენებას მათს ცხოვრებაში მეტად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს — მხოლოდ 15 პროცენტს შეუძლია თავს ნება მისცეს სადილობის შემდეგ დაისვენოს და 37 პროცენტი უყურებს ტელევიზორს.

სტუდენტთა სწავლების დროა 9-დან 12-მდე, და 14-დან 16.30 საათამდე. სამეურნეო საქმიანობა უწევს მხოლოდ ჭაბუკთა 15 პროცენტს და ქალიშვილთა 20 პროცენტს. სხვებთან შედარებით სტუდენტები ყველაზე მეტ დროს დასვენებას აზმარენ. საღილობის შემდეგ და საღამოობით ისინი კითხულობენ, ვარჯიშობენ და კინოში დადიან.

დიასახლისი ქალები ძირითადად საყოფაცხოვრებო პრობლემებით არიან დაკავებული. მათი ორი მესამედი მეურნეობას ახმარს დღის მეილ პირველ ნახევარს, ერთი მესამედი ამჯობინებს ამის გაკეთებას შუადღის შემდეგ. საოჯახო საქმიანობას დიდი დრო მიაქვს და შესაბამისად მცირდება დასვენების დრო: ქალთა მხოლოდ 10 პროცენტს შეუძლია შეისვენოს 10.00—11.30 საათს შორის შუალედში. საღილობის შემდეგ მათი 13 პროცენტი ცოტას ისვენებს და უყურებს ტელევიზორს. სუსტი სქესის წარმომადგენელთა 20 პროცენტზე მეტი დღის მეორე ნახევარს უთმობს კითხვას, ვიზიტებს, სეირნობას ან სპორტს. დიასახლისები ტელევიზიის თაყვანისმცემლები არიან.

უქმე დღეები მართლაც რომ შვებაა ფრანგებისათვის. მათ, ვინც მთელი კვირის მანძილზე ნაყოფიერად იშრომა, შეუძლია გვიანობამდე იძინოს, დილის საუზმესაც აუჩქარებლად მიირთმევს. შაბათს დღის მეორე ნახევარში მომუშავე ქალთა 20 პროცენტი დადის სტუმრად, თეატრში ან კონცერტზე. უმრავლესობა კი მაინც შინ დასვენებას ამჯობინებს და მათი მთავარი გასართობი... ისევ ტელევიზორია.

ტრადიცია და თანამედროვეობა

ქალისადმი პატივისცემის სოციალური აუცილებლობა და მორალური სამართლიანობა მისი იმ როლით განისაზღვრება, რასაც ასრულებს საზოგადოების განვითარებაში და აგრეთვე ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნებით, როგორიცაა დედობრივი გრძნობა, მარადქალურობა, სიხალეზე, სიფაქიზე, სულიერი სინატიფე.

ქალისადმი პატივისცემის ტრადიცია ადამიანთა მოდგმის არსებობის და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში ხალხი გუმანით მიხვედრილა / ქალისადმი პატივისცემის სოციალურ მიზანშეწონილებას.

მატრიარქატის პერიოდში ქალი უფლებამოსილებით და პატივისცემით სარგებლობდა იმ დიდი როლის გამო, რასაც ის ასრულებდა კომუნისტურ სახლთმეურნეობაში. შრომის დიდ საზოგადოებრივ დანაწილებასთან დაკავშირებით ძველი კულტურის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საბერძნეთი, ბაბილონი, ეგვიპტე, ინდოეთი და ა. შ, პატრიარქატმა განდევნა მატრიარქატი და უაღრესად შეზღუდა ქალის უფლება-მოვალეობანი. საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თავისებურების გამო - ქალი უდიდეს როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ ამ ტრადიციას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. თუ სხვა ქვეყნებში ქალისადმი პატივისცემის ელემენტარული მორალური ნორმები ფორმალურად სრულდებოდა და ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა ქალის უუფლებო მდგომარეობისათვის, საქართველოში ქალისადმი პატივისცემის ჰუმანური ტრადიცია, რომელიც ქალისადმი მადლიერების გრძნობას გამოხატავდა, მაღალ ეროვნულ თვითშეგნებას ემყარებოდა, რაც ადამიანთა შორის ურთიერთობის რეგულატორსაც წარმოადგენდა და ერის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობისაც.

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველი დედები იყვნენ შეურყეველნი ბუნჯნი ეროვნული არსებობისა, განვითარებისა და აღზრდისა. არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელშიც ქართველ ქალებს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ, ამიტომ ჩვენი ამაგდარი მამულიშვილნი დიდი კრძალვით და პატივისცემით ეპყრობოდნენ ქალებს.

ქალისადმი პატივისცემის ქართული ტრადიცია

განყოფილებას ხელმძღვანელობს პროფესორი მიხეილ კეკელია

ივანე ჯავახიშვილი. შენიშნავს: მამაკაცი, სადაც უნდა ყოფილიყო, ქალს უპირველეს ადგილს უთმობდა, სალოცავში ან სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში წასვლისას წინ დედაკაცები მიუძღოდნენ, მათ მამაკაცთა გუნდი მოსდევდა.

ქალისადმი პატივისცემის ტრადიცია სიმბოლურად ჩანს წმინდათა-წმინდად მიჩნეულ მანდილის სასწაულმოქმედ ძალაში. ქალის მანდილი, დროზე ჩაგდებული სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულ ვაჟკაცთა შორის, სავსებით საკმაო იყო, რათა მებრძოლთ ბრძოლა შეეწყვიტათ, ხმლები ქარქაშში ჩაეგოთ, დაზავებულიყვნენ და მუხლი მოედრიკათ სიწმინდის ეტალონის — ქალის წინაშე.

ქალისადმი პატივისცემის ტრადიცია ენობრივი მონაცემებითაც არის დადასტურებული. ქართულ ენას ახასიათებს ყოველივე მნიშვნელოვანის დაკავშირება დედის სახელთან.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ძალიან ძლიერი იყო ქალისადმი პატივისცემის ტრადიცია და რომ ქვეყნის საქმეში ქალს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ ხალხს სწამდა, რომ ოვერია წილად ხვდა ღვთისმშობელს და იმის მადლი მოჰფენია ქართველ ტომს და უპირატესად ქართველ ქალებს.

ქართულმა ეკლესიამ თავის უმაღლეს ფრინდანად და მთელი ქვეყნის განმანათლებლად აღიარა კაპადოკიელი ქალი — ნინო. ქრისტიანობის ისტორიაში ეს იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

ალექსანდრე ბარამიძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „რელიგიურ მწვალებლური შეუწყნარებლობის პირობებში ქართულ ეკლესიას თურმე კიდევაც ძრახავდნენ და დამაკნინებელ გარემოებად უთვლიდნენ ქვეყნის მოქცევას „ბუნებისა მიერ დედობრივისა“. მაგრამ საეკლესიო მწერალი ნიკოლოზ გულასბერიძე ასაბუთებდა, რომ ქართველთა განმანათლებლად დედაკაცის წარმოგზავნა ქალის განსაკუთრებულ ღირსებათა აღიარების დამადასტურებელ გარემოებას წარმოადგენსო. დიდი საპასუხისმგებლო მისიის დაკისრებით ღმერთმა უშუალოდ გამოხატა ქალისადმი უაღრესი პატივისცემა „ღირსებისათვის ფდადთა პატივისა“.

ამგვარი მსჯელობით, გულასბერიძემ, რომელიც თამარ მეფის თანამშრომელი და მისი საეკლესიო პოლიტიკის სულისჩამდგმელი და გამტარებელი იყო, ბევრად შეუწყო ხელი თამარის მოღვაწეობის უნიკალურად წარმართვას, საზოგადოების საკეთილდღეოდ მისი სულიერი ძალების სრულფასოვნად და მაქსიმალურად გამოვლენას, მისი ღვაწლის მსმენელობას, სიდიადესა და ძლევამოსილებას.

მოსე ჯანაშვილის აღიარებით, თამარის მეფობამ ისეთი დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს, რომ ურიცხვი მტერი დარწმუნდა, ხალხი, რომელსაც წანამძღვრობს თამარი, არის ერი მედგარი, ძლიერი, რაინდული კეთილშობილებით მოსიყვარულე ვნა, არამედ მათ დასამშვიდებლად ყველაზე საპატიო დესპანები, ცოხილი ქართველი მანდილოსნები ხვაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი გაგზავნა. ისტორიკოს ლევან სანიკიძის ხატოვანი თქმით, „ქალმა ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი, სულ ერთია მისივე მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი, — უზენაესი კრძალვით და პატივისცემით ეპყრობოდნენ სწორედ ქალს, მთი ოჯახისა და ქვეყნის წმინდათა-წმინდა კერპს, მის შეუვალ სიტყვას, მის წმინდათა-წმინდა მანდილს“.

ქართველი ქალები სხვა ქვეყნის დესპოტ მმართველთა შორისაც დიდი ზეგავლენით სარგებლობდნენ. ასე მაგალითად, შაჰი, რომლისთვისაც ქალი მხოლოდ ჰარამხანის მშვენებას წარმოადგენდა, ვერ აცდენილა ქართველ ქალთა კეთილგონიერების მომაჯადოებელ ძალას. აკაკი წერეთელი შენიშნავს, „ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ ქართველ ქალთაგან მოხიბლულ მტარვალებს შეეყენებინოთ გულისწყრომა და საქართველოსადმი მტრობის აზრი შეეცვალათ“.

ქალისადმი პატივისცემას ქეთევან დედოფლის — სამშობლო ქვეყნის, ერის, სჯულის და სარწმუნოებისათვის მებრძოლის მოწამებრივი სიკვდილიც ასაზრდოებდა, მით უფრო, ქეთევან დედოფლის მაგალითი ერთიულ შემთხვევას კი არ წარმოადგენდა საქართველოსათვის, არამედ ეროვნული თვითმყოფობის გამომხატველ მასობრივი გმირობის ტიპურ მაგალითს. ქეთევანის თავგანწირვით შეძრწუნებული შაჰი უღონოდ პირქვე დამხობილა, ქეთევანის ქცევაში შაჰ-აბასს საქართველოს ეროვნული სხეულის გამძლეობა, ძალმოსილება ამოუცანია.

(დასასრული 10-ე გვ.).

Mrs Matisse Polishes the Goldfish



Mrs Toulouse-Lautrec Cleans the Toilet

იუმორითა და გულწრფელი სიმპათიით

სალი სვეინის „დიასახლისები — ხელოვნების მსახურნი და მუზები“

Mrs Degas Vacuums the Floor

დეგა, მატისი, გოგენი, ტულუზ-ლოტრეკი, ვან გოგი, მონდრიანი, შაგალი — ამ ბრწყინვალე სახელების უბრალოდ ჩამოთვლაც კი ფეხსიერებაში აღადგენს ფერწერული შედევრების მთელ გალერეას.

მრავალი წლის მანძილზე ამ მხატვართა შემოქმედება სერიოზული და ღრმა კვლევის საგანია. მათს ხელოვნებაზე უამრავი ტომია დაწერილი და მით უფრო მოულოდნელი იყო ინგლისელი მხატვარი ქალის სალი სვეინის სახუმარო პროდიები, რომელმაც სახელგანთქმული ფერმწერლების მანერით შექმნა ნახატ-ხუმრობათა მთელი სერია.

ალბომი, რომელშიც ეს ნახატები შევიდა, ჰქვია „დიასახლისები — ხელოვნების მსახურნი და მუზები“ და ეძღვნება ზემოაღნიშნულ მხატვართა ცოლებს, უფრო სწორად მათს საქმიანობასა და საზრუნავს სახელოსნოსა თუ ბინაში. აი ქალბატონი მატისი წმენდს ოქროს თევზს, მაშინ, როცა ჰაეროვანი ქალბატონი დეგა მტვერსასრუტით იატაკს ასრიალებს, ხოლო ქალბატონი მონე გუბერას ასუფთავებს... სალი სვეინი იუმორითა და გულწრფელი სიმპათიით ხატავს ყოველ ქალს, თავდავიწყებით რომ საქმიანობს.

გამოცემის წინასიტყვაობაში ბიატავარი წერს, რომ მას სუფდა აღედგინა სამართლიანობა და გარკვეულწილად აღენიშნა იმათი ღვაწლი, ვინც არა მარტო ფერმწერთა შემოქმედებითი შთაგონების წყარო იყო, არამედ ყოველდღიური საზრუნავიც იტვირთა.

ეზიარებოდა თუ არა კაცობრიობა იმპრესიონიზმს, სიურეალიზმს, კუბიზმს, სუპრემატიზმს, ნეოპლასტიციზმს,—სვამს კითხვას სალი სვეინი, — გენიიძლევა: „უქალოდ ეს შეუძლებელ ყოფილიყო მისი მუზა და კერიის დამცველი?.. მისი ნახატები ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა: „უქალოდ ეს შეუძლებელი იქნებოდა“.

სურათებზე: „ქალბატონი მატისი წმენდს ოქროს თევზს“; „ქალბატონი დეგა მტვერსასრუტით ასუფთავებს იატაკს“, „ქალბატონი ტულუზ-ლოტრეკი ბინის დალაგებისას“.

ქალისადმი პატივისცემის ქართული ტრადიცია

(დასასრული)

„ქართველ ქალთა პატივისცემის აღსანიშნავად ილია ჭავჭავაძემ,— აღნიშნავს გიორგი შატბერაშვილი,— შეკრიბა, შეაჯამა და ერთ ძნად შეკრა თავის წინაპარ თუ თანამედროვე მწერალთა და პოეტთა ნათქვამი და ქართულ ენაში ერთბამად დაკანონა გამოთქმა „ქართველის დედა“, ამით მან სამუდამოდ აამაღლა ქალის ღირსება და პატივისცემა. ქართველის დედა პირველად ილიამ აქცია საქართველოს ემბლემად“.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა გაითვალისწინა ქართველი ქალის დიდი ისტორიული დამსახურება სამშობლო ქვეყნის ფიზიკური და მორალური სახის დაცვასა და განვითარებაში და უკვდავების ძეგლი აღუმართა მას. ამ ძეგლში ასახული ქალის ტიპი ქართველი ქალის ძლევამოსილების და უკვდავების სიმბოლოს წარმოადგენს. მთელი მისი ფიგურა გამოხატავს მზადყოფნას, მტერს ხმლით გადუღობოს გზა, მოყვარეს ბადაგითა და ქართული ღვინით შეხვდეს და უმასპინძლოს.

ქალისადმი პატივისცემის ტრადიციის გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის უაღრესად საგულისხმოა როგორც სკოლაში, ისე ოჯახში მოქალაქეობრივი ღირსების აღზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქალშვილებში ქალური ღირსებისა და ვაჟიშვილებში მამაკაცის ღირსების აღზრდას. ქალური ღირსებები: სიხარეზე, სიფაქიზე, სულიერი სინატიფე, დედობრივი გრძნობა, პატიოსნება და ერთგულება, გარეგნული მომხიბლაობა და მშვენება, ესთეტიკური გრძნობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ ქალმა წარმატებით გაართვას თავი დიასახლისის, მეუღლის, დედის საპატიო მოვალეობას, შრომითს კოლექტივებში დაამყაროს ერთსულოვნებისა და გულითადობის ატმოსფერო.

მამაკაცის ღირსებები, როგორიც არის რაინდობა, მამაცობა, ზრუნვა და ყურადღება ქალისადმი, მისდამი მოკრძალებული დამოკიდებულება, ნება ქალის სულიერი ძალებისადმი, ბავშვების მიმართ დიდსულოვნება, კეთილშობილება, ძლიერი ნებისყოფა, ასტიმულებს ქალის სიცოცხლისუნარიანობას და გამძლეობას.

ქალისა და მამაკაცისათვის დამახასიათებელი ღირსებების განვითარება, ზომიერების დაცვით ქალის მასკულიზაცია და მამაკაცთა ფემინიზაცია ქალისა და მამაკაცის პიროვნების გამდიდრების პიროვნული თვითგამოხატვისა და მათ შორის ჰარმონიული დამოკიდებულების განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ასეთ ვითარებაში თითოეული მათგანი თავს აღიქვამს როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმის წარმომადგენელი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალის მიერ სპირტიანი სასმელების ხმარება, თამბაქოს წევა, ოჯახსა და შრომით საქმიანობაში ქალის ბუნებისათვის შეუსაბამო მძიმე სამუშაოების შესრულება არა მხოლოდ ქალის ჯანმრთელობისათვის არის საზიანო, არამედ შთამომავლობაზეც ახდენს უარყოფით ზეგავლენას, ამასთან უკარგავს ქალებს სულიერ სინატიფესა და გარეგნულ მომხიბლაობას.

ქალისადმი პატივისცემის ტრადიციის განსამტკიცებლად დიდად მნიშვნელოვანია ადამიანში ბავშვობიდანვე აღზარდოს თანაგანცდის უნარი, რომლის გარეშე შეუძლებელია ერთმანეთის (ქალისა და მამაკაცის) სულიერი მდგომარეობის ამოცნობა-შეცნობა, ფსიქოლოგიური თავისებურებისა და მდგომარეობის გაგება, თანაგრძნობა და თანადგომა.

თანამედროვე ოჯახსა და შრომით კოლექტივებში უნდა სუფევდეს ქალისა და მამაკაცის შეთანხმებული, ერთსულოვანი თანამოქმედება ოჯახის სიმტკიცის, ბავშვების სწორი აღზრდისა და ქვეყნის წინაშე მოვალეობის შესასრულებლად.

ზოგიერთი მამაკაცის სურვილი — ქალის ფუნქციები შემოისაზღვროს ბავშვთა აღზრდითა და შინამოსამსახურეობით, არა მხოლოდ ზიანს აყენებს ქალის სულიერ მდგომარეობას, მის თავისუფლებასა და ბავშვთა აღზრდას, არამედ დიდად საზიანოა თვით მამაკაცის პიროვნების თავისუფლებისა და ჰარმონიული განვითარებისათვის. ქალის ავტორიტეტის შელახვა მნიშვნელოვნად ამცირებს არა მარტო დედის, არამედ მამის როლსაც ბავშვების აღზრდაში.

ქალის ღვაწლის, ამაგის დაუფასებლობა ოჯახსა თუ შრომით კოლექტივებში, მისდამი უმადურება ხელს უწყობს ქალის ფსიქიკის ტრავმირებას და მნიშვნელოვნად ბორკავს მისი შინაგანი სულიერი პოტენციის გამოვლენას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულე მრავალ წინააღმდეგობას და კონფლიქტს წარმოშობს ქალის ცნობიერებაში, ხშირად, ძნელად გადასაჭრელ კონფლიქტს. შრომითი საქმიანობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქალს არ აძლევს შესაძლებლობას სრულფასოვნად დაიკმაყოფილოს დედობრივი ემოციები, სათანადო კონტროლი გაუწიოს საკუთარ შვილებს, სწორი მიმართულება მისცეს მათ აღზრდას, წარმატებით გაართვას თავი სხვა ოჯახურ ფუნქციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახური ფუნქციების შესრულება ქალს არ აძლევს შესაძლებლობას სრულფასოვნად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი საზოგადოებრივ ასპარეზზე. ყოველივე ეს ქალის ნევროფსიქიკურ და სულიერ სამყაროზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, უბშობს მას ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას.

საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება და საზოგადოების კულტურული დონის ამაღლება, მისი ეთიკური ცნობიერების სიმაღლე შექმნის ქალის საოჯახო და სოციალურ-პროფესიული, ოჯახური და საზოგადოებრივი ფუნქციების სრულფასოვანი შესრულების შესაძლებლობას.

ლილი ჩინჩალაძე.
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის დოცენტი.

კომუნისტის ფოტოკონკურსი



ჩემი ტკბილი ბებო. — დავით იაკობაშვილის ფოტო.

ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

ჩვენი დიდებული ქალები

ყველანაზე ყოველივე მშვენიერი ქალისადმი სიყვარულისაგან წარმოდგებაო,— უთქვამს მწერალს. ეს მხოლოდ ლამაზი ფრაზა როდია.

ეს უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილების პოეტური განზოგადებაა.

ქალი — ეს დედის სახეა, ჩვილი ბავშვისკენ რომ დახრილა.

ქალი — ეს მშფოთვარე გაზაფხულის ხმაა.

ქალი — მეგობრის მტკიცე ხელია, ცხოვრების მძიმე გზებზე რომ გვეშველება.

არა, მართალნი არ არიან არქიტექტორები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს მათს შემოქმედებაზეა დამოკიდებული ქალაქების სილამაზე და მყუდროება.

ქალაქების სილამაზე ქალებზეა დამოკიდებული.

ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება.

როცა ქალაქში დავდივართ და ბავშვებისა და მათი დედების გაბრწყინებულ სახეებს ვხედავთ, ქალაქი უფრო ნათელი და მხიარული გვეჩვენება.

ასეთია თბილისი, რომელსაც ჩვენნი დიდებული ქალები ამშვენებენ.

თბილისში ჩამოსულმა ერომ უცხოელმა მკითხა:

თბილისის შემდეგ საქართველოს რომელ კუთხეშია ყველაზე ლამაზი ქალები?

დავფიქრდი და ვუთხარი — ადვილი როდია ამაზე პასუხის გაცემა, ყვავილებზე დილის მზის სხივებით მოელვარე ცვარის რომელი წვეთია ყველაზე უფრო წმინდა და ყველაზე უფრო ბრწყინვალე? ყველა კეთილშობილური სილამაზით ერთი მეორეს ჰგავს.

ასეთია ყველა ქალი საქართველოში.

ქართველი ქალის გარეშე საქართველო ისევე დაიშლებოდა, როგორც სილის კოშკი...

ქართველი ქალი სინთილეა, რომელიც სიცოცხლეს გვინათებს.

ფილიპე მახარაძე.
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

სიკეთე მუდამ მარადიულია

თბილისელებს მოენატრათ პაატა ბურჭულაძის მოსმენა. ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, აი, თითქმის წელია საზღვარგარეთ გასტროლებზეა. კონტრაქტების მკაცრი პირობებით დღეების მიხედვითაა განაწილებული მისი გამოსვლები საოპერო სპექტაკლებში, სოლო კონცერტებზე ინგლისის, იტალიის, ავსტრიის, საფრანგეთის თეატრებში... და მაინც, მან გამონახა შესაძლებლობა ჩამოსულიყო მშობლიურ ქალაქში და მონაწილეობა მიეღო საქველმოქმედო კონცერტში, რომელიც 5 მარტს გაიმართა თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში. ჩვეულ ოსტატობითა და შთაგონებით შეასრულა მომღერალმა ნაწყვეტები ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ოპერებიდან, დაატყვევა თავისი ძლიერი და ხავერდოვანი ხმით მსმენელები. თბილისელებმა მომღერალი მხურვალე მადლობის ტაშით დააჯილდოვეს.

ამ კონცერტ-აუქციონში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ ირაკლი ჭიაურელის ხელმძღვანელობით და თბილისის საოპერო თეატრის გუნდი (მთავარი ლოტბარი — ავთანდილ ჩხენკელი).

თავიანთი ფერწერული ნამუშევრები აუქციონზე წარმოადგინეს მხატვრებმა რადინ თორდიამ, ზურაბ ნიკარაძემ და ედმუნდ კალანდაძემ. სუროათების გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრები მათ შესწირეს შერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდს. ამ კონცერტიდან მიღებული ჰონორარის გარდა პაატა ბურჭულაძემ საქველმოქმედო საჩუქარი მიუძღვნა ფონდს: მელომანებმა შეეძინეს ქართველი მომღერლის, მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ვარსკვლავების მონაწილეობით ოპერების ჩანაწერების უნიკალური ფირფიტები და კომპაქტური დისკები. ფონდში თავისი წვლილი შეიტანა მოდისა და ტანსაცმლის კულტურის რესპუბლიკურმა ცენტრმაც.

ამ ჰუმანური აქციის ინიციატორები არიან თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი და საქართველოს ტელევიზია.

წინასწარი მონაცემებით რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა, ინდივიდუალურმა პირებმა, აგრეთვე კონცერტის დამსწრე ამერიკელმა სტუმრებმა მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში გადარიცხეს ასიათასობით საბჭოთა და ათიათასობით ვალუტის მანეთი.

საზეიმოდ ყღერდა ამ შთამბეჭდავი კონცერტის პროლოგი და ეპილოგი. ორკესტრის შესრულებით დარბაზში აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „დაისის“ უვერტიურის მელოდიები, ფინალში კი პაატა ბურჭულაძემ გუნდთან ერთად შეასრულა რევაზ ლაღიძის სიმღერა „ჩემო ქარგო ქვეყანავ“. ეს მელოდია, რომელიც საქართველოს ნათელი მომავლის თავისებური მუსიკალური სიმბოლო გახდა, გაისმა სიცოცხლის, სიკეთის, სამართლიანობის ჰიმნად.

(საქინფორმი).

სურათზე: მღერის პაატა ბურჭულაძე.

ე. ა. შევარდნაძის წერილი

ამ დღეებში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინტელიგენციის ახალგაზრდა კოლეგიის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი მოვიდა:

„პატივცემულო ამხანაგო სახელმძღვანელო! მადლობას მოგახსენებთ პატივისცემისთვის. მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ისახავს თქვენი ახოციაცია, ეხმიანება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს, რომელიც ცდილობს პრაქტიკულად დაამკვიდროს საერთაშორისო ურთიერთობაშიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა, ჰუმანიზმის, თანამშრომლობის უზენაესობის პრინციპები.

თქვენ დიდი და სახარგებლო საქმე ჩაგიფიქრებიათ. გისურვებთ წარმატებებს ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელებაში.

ე. ა. შევარდნაძე.“

• • •

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ეს წერილი განმარტა მისმა ადრესატმა:

— როცა პატივცემულ ედუარდს ჩვენი ასოციაციის სპატიო წევრად ვირჩევდით, — თქვა ზაზა სიხარულიძემ, — ორი მომენტით ვხელმძღვანელობდით.

ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გვჭირდება საქმიანი კონტაქტები შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და, ბუნებრივია, იმედს ვამყარებდით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის დახმარებაზე. ამიერიდან ვაწყობთ სპარტესტო აქციას იმის წინააღმდეგ, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი, ბიუროკრატი, კორუფცირებული პირი უსულგულობას იჩენს, ყოველგვარ დაბრკოლებას გვიქმნის ჩვენს ისედაც ძნელ, ღვთის შვილთა საკეთილდღეო საქმეში. გასაგებია, რომ ამ სიტუაციაში ბატონ ედუარდის წერილმა გარკვეულწილად განგვიმტკიცა სამართლიანობისა და გულმოწყალების რწმენა, რომელიც ჯერჯერობით ასე გვაკლია. (საქინფორმი).

ბუშინ საქართველოს სახალხო ფრონტის თაოსნობით თბილისში, რუსთაველის მოედანზე კინოს სახლთან მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ახალბან პრესაში გამოქვეყნებულ სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონს.

მიტინგზე გამოვიდნენ ნ. ნათაძე, თ. ლილუაშვილი, გ. ყორანაშვილი, ს. ხუციშვილი, ი. წერეთელი და სხვები.

მიტინგი თბილისში

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ვალერიან ადგაძემ განაცხადა, რომ საქართველოს დეპუტატიამ თავისი დამოკიდებულება სსრ კავშირის პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებით გამოხატა სახალხო დეპუტატ თენგიზ ბუაჩიძის გამოსვლით უზენაესი საბჭოს სესიაზე: არ მივიღოთ მონაწილეობა პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნაში, რადგანაც იგი არ ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს.

მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე ხესიის მოწვევა.

ჩვენი თხოვნით, მიტინგზე განხილულ საკითხს კომენტარი გაუკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სისხლის სამართლის სექტორის ხელმძღვანელმა ოთარ გამყრელიძემ:

—ახლახან პრესაში გამოქვეყნებული კანონ-პროექტი, რომელიც აწესებს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტს, სრულიად უჩვეულო მოვლენაა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში. ამ კანონ-პროექტის მიღებით ჩვენში იწყება დასავლური ტიპის სახელმწიფოს შექმნა. ერთი შეხედვით, ეს პროექტი მისაღებია, რადგან დასავლური ტიპის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ილუზიას გვიქმნის. მაგრამ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ფედერაციული სახელმწიფო არსებითად განსხვავდება ისეთი ფედერაციებისაგან, როგორიცაა, ვთქვათ. ამერიკის შეერთებული შტატები, მაშინ ამ კანონპროექტსაც ძნელია დავეთანხმოთ. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის პოსტის შემოღებით ცენტრის პოზიცია ძლიერდება და რესპუბლიკების უფლებამოსილება სუსტდება. ეს კანონპროექტი ხელს ვერ შეუწყობს ჩვენში თითქოსდა დაწყებულ ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესს. რა შეიძლება ჩვენ დავუპირისპიროთ ამას? თუკი ჩვენი დელეგაცია უარს იტყვის ამ კანონპროექტის მხარდაჭერაზე, როგორც ეს მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს, საჭირო იქნება, ალბათ, ამას დავუპირისპიროთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტიც, რომელიც მძლავრი უფლებებით იქნება აღჭურვილი. კერძოდ, მხარი უნდა დავუჭიროთ იმ აზრს, რომ საქართველოს პრეზიდენტს ასევე მიეცეს ვეტოს უფლება, რათა შეაჩეროს იმ საკავშირო კანონების მოქმედება ჩვენს ტერიტორიაზე, რომლებიც არ შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და სხვა.

სურათზე: მიტინგი თბილისში. გენადი სანაიას ფოტო.

მხიარული ჰოროსკოპი

იუმორი

8 მარტს, ქალწულის თანავარსკვლავედში დაბადებულ გამოუცდელ დიასახლისთ იწვევენ ბაზრების ერთდროულ დათვალიერებაზე ჯგუფური ექსკურსიებით — „სარვამარტო ზოუ“ — თბილისის დახურული ბაზრების ღია ჩემპიონატში, სადაც ქათმის, ნიგვზის, ხილის, თაფლის, ბროწეულის ხელის ხლება არ შეიძლება; ამასთან, ბაზარში, როგორც მუზეუმში, ხელჩანთების შეტანა მიზანშეუწონელია!

ვეტერან დიასახლისთ, რომელთაც პრინციპულად აღარ ახსოვთ, რა არის ბაზარი, სახელდახელო სარვამარტო კომისია სთავაზობს პანორამულ ტელეგადაცემებს. გთხოვთ ჩაიწეროთ:

ლექცია: „ამაოების ბაზარი“; **რეფერატი:** „ცოლიც ადამიანია“; „მითხარი, რას ვამ და გეტყვი, სად მუშაობ შენ!“ **ლექცია:** „როგორ იკვებებოდა ჩვენი წინაპარი“ და ა. შ.

რეკლამა: ტუუპთა ზოდიაქოში დაბადებულთ მაღაზიებში შეუძლიათ შეიძინონ მარილიანი კარაქი, უმარილო მარგარინი და მომყავო არაყანი. ოღონდ... შუძენილი სანოვაგე განმეორებით უნდა აწონონ საკონტროლო სასწორის თანავარსკვლავედში!

საქართველოს საშაქარლამოეგში უკვე გაყიდულია დიდძალი ასორტიმენტი: ბისკვიტეული — „ზაქათალა“, „საინგილო“, „კახი“, ნამცხვრები: „ლორე“, „ბორტანჯი“, „ბასიანი“, „კლარჯეთი“, „შავშეთი“, ტკბილეული: „ჯიქეთი“, „ტაო“ და დელიკატესი ტორტი „სოჭი“.

სარვამარტოდ ასტროლოგები იმასაც გვირჩევენ (უახლესი დაკვირვებით), ზოდიაქოს რომელი ნიშნით რისი შოვნის შანსი გაქვთ.

ერთი საყურადღებო განცხადება:

უზენაესი საბჭოს დეპუტატ ქალებს გადაეცემათ ფერადი ფოტოები — სათალის, ხუთნის, კალმახისა და ა. შ.

ინფორმაცია: სარვამარტო ჰოროსკოპით იგოეთში (ზუსტად ვიცით) დარიგდება კბილის პასტები და უცხოური საპონი იმ პირთათვის, რომლებიც მაიმუნის იღბლიან წელიწადს არიან დაბადებული.

ახლა რეკლამა-ამონაწერიც ბარბარე ჯორჯაძის წიგნიდან იმის შესახსენებლად, თუ „რას ეამდნენ ჩვენი წინაპრები“.

„თუ სტუმრები ანაზად გეწვევნენ და ვახშმად არა გქონდეთრა, მოიღეთ რვა გირვანქა ხბოს ხორცი, ექვსი დედალი, ღორის ბარკალი, ძროხის გულ-ღვიძლი, ათი კილოგრამი ზუთხი ან ზურგიელი და 24 კომში, თათარიანნად, ვემოზე გაამზადეთ და ფირაშკებთან ერთად შავი ღვინით მიართვით სტუმრებს“...

თუ შიში და უძილობა დაგჩემდათ იმის დარდით, რომ ფული იცვლება (თან არც ის იცით, სად წაიღოთ პენსია), მიაკითხეთ ანატოლი კაშპიროვსკის სახელობის ექსტრასენსების კოოპერატივს — „გინდ მეძინოოს“...

შენიშვნა: თუ რადიატორს წყალი გასდის და თქვენი სახლმპარმთველობის ხელოსანი მერწყეულის თვეშია დაბადებული, ნუ დაადალებთ... აგვისტომდე შეაკეთებს. თუ გაინტერესებთ, რატომ ჩამოვრჩებით ქალთა ფეხბურთში, გიპასუხებთ: ება, სცადეთ და, თერთმეტ ქართველ ქალს ერთნაირად ჩააცვით!...

ჩვენი ქალები თუ ფეხბურთს გადაეგენ, ყანას ვინ მოხნავს, ვილა მოთოხნის, საქართველოს პრესტიჟს ვინ დაიცავს ჰადრაკში, ვინ უპატრონებს ქმარს, ჩაის ვინ მოკრეფს მუხლამდე წყალში, ვინ იტრიალებს ბაღ-ვენახებში დარსა თუ ავდარში, ვინ აღზრდის შვილებს, თანაც მრავალს, დროშას ვინ შეკერავს?!.

ქართლოს კასრაძე.

ასეთი სიზმარი ნახეს

ნინო ანანიაშვილის თაყვანისმცემლებმა:

ანა კალანდაძის მოტივზე

მოპკიოდა, ქარი ღრუბლებს
მოპკიოდა,
„ვნუკოვოზე“ იყო ქარის
თარეში,
მოდიოდა, ნინო მთებით
მოდიოდა
სამუდამოდ, თავის მშობელ
მხარეში.
მიიზიდა, საქართველომ
მიიზიდა,
ო, ეს გრძნობა ავალებდა
რაოდენს?
შორიახლო გამონათდა თბილისი
და
ქვემოთ უკვე დამხვდურები
ბღაოდნენ.

ვ. მარდალეიშვილი.



გელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.

● ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ რესპუბლიკის საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები და მწვრთნელები. სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების სტრუქტურაზე. გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში 18 გუნდი იასპარეზებს, პირველ ჯგუფში — 20, მეორე ჯგუფის პირველობა ზონალური პრინციპით (სამი ზონა) გაიმართება. უმაღლეს ჯგუფში ითამაშებენ თბილისის „იბერია“ (ყოფილი „დინამო“), ლანჩხუთის „გურია“, ქუთაისის „ქუთაისი“, ბათუმის „ტაო“ (ყოფილი „დინამო“), სოხუმის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი“, სამტრედიის „ლოკომოტივი“, გორის „დილა“, ხობის „კოლხეთი“; ოზურგეთის „მერცხალი“, რუსთავის „მეტალურგი“, თბილისის „შევარდენი“, წყალტუბოს „მადრეკანი“, ზუგდიდის „ოდიში“ (ყოფილი „დინამო“), ონაბჩირის „ამირანი“, გალის „მზიური“, ხაშურის „ივერია“ და ცხინვალის „სპარტაკი“.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 30 მარტს დაიწყება.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 10 მარტს.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ქ. თბილისის მანქანათმშენებლობის სათამო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო

აცხადებს კონკურსს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად:

— ბიუროს უფროსის თანამდებობაზე (ინჟინერ-ტექნიკური ან საინჟინრო-ეკონომიკური განათლებით, ორგანიზაციის პროფილის შესაბამისად სახალხო მეურნეობის დარგში ხელმძღვანელ თანამდებობაზე არანაკლებ 5 წლის სტაჟის მქონე).

საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადების დღიდან ორი კვირის განმავლობაში.

მისამართი: 380044, ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. 24.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 8 მარტი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 9.50 — დილის მუსიკალური გასართობი პროგრამა. 10.45 — „ეკრანზეა ქართული დოკუმენტური ფილმები. „რტიუალების სასახლე“, „ნინო ანანიაშვილი“, „მერი“. 11.25 — მუსიკალური ვიდეოფილმი „ჩხიკვთა ქორნილი“. 12.40 — მოსწავლეთათვის „ბბა, დელია!“. 13.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.35 — სატელევიზიო გადაცემა „ჯუნა“. 14.55 — ხალხური შემოქმედება — „ფერთა ზეიმი“. 15.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.55 — „დიალოგი თინათინ ლეკვეიშვილთან“. 16.25 — „პირველი მშენებელი ქალი“. თ. ქუთათელაძე. 17.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.05 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 17.55 — ხალხური შემოქმედება. „მღერის ანსამბლი „კოლხეთი“. 18.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.25 — მადლი ჰქენი... 18.40 — მსოფლიოს გამოჩენილი პიანისტები. 19.45 — ძიღისპირული. 20.00 — მოამბე. 21.00 — საესტრადო კონცერტი „ქალი მაინც ქალია“. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „სარვამარტო“. 23.50 — საესტრადო პროგრამა „დები სიყვარულის სახელით“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 9.15 — მულტფილმი. 9.25 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. 9.55 — ცირკი ყველას უყვარს. 10.30 — ფილმ-კონცერტის პრემიერა „ჩემი ქალაქის მუსიკა“. 11.00 — ფილმი — ბავშვებს, „მამიკოს თავგადასავალი“. 12.05 — დოკუმენტური ტელეფილმის პრემიერა. 12.55 — პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „მძინარე მზეფუნახავი“. სპექტაკლი. 15.50 — დიდები და პატარები. გასართობი პროგრამა. 16.50 — პროგრესი, ინფორმაცია. რეკლამა. 17.20 — ფიგურული ციგურაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყვილები. თავისუფალი პროგრამა. 18.35 — მხატვრული ტელეფილმი, „ქალები, რომლებსაც უმართლებთ“. III სერია. 19.50 — მულტფილმი. 20.00 — „იოლია ქალობა?“. გადაცემას უძღვება ვ. პოზნერი. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „ინდური ფილმის მოყვარულთათვის“. ორსერიანი ფილმ-კონცერტი. 00.55 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 1.10 — ცეკვები, ცეკვები, ცეკვები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — უკრავს სსრ კავშირის სახტელერადიოს დიდი სიმფონიური ორკესტრი. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — პოლონური სიმღერის ფესტივალი ოპოლში (პოლონეთი). 10.55 — სინქრონული ცურვა. 11.40 — ტელეპროგრამა „ოჯახი“. 13.25 — ლ. გურჩენკოს ბენეფისი. 14.40 — კოლაჟი. 14.45 — მულტკონცერტი. 15.15 — „როგორ ამოვაძროთ კბილი ვეშაპს“. 16.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმები „როგორ გამოვასწროთ მამიკო“ (ჩეხოსლოვაკია). 18.25 — მხატვრული ფილმი „ოჯახურ გარემოებათა გამო“. I და II სერია. 21.00 — „ძილი ხებისა, პატარებო!“. 21.15 — უკრავს სრულიად რუსეთის კონკურსის ლაურეატი იური პრეხოროვი (ბაიანი). 21.20 — ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. 21.55 — შტრაუსის სამყაროში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზია). 22.30 — მულტფილმი. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ლამაზი მამაკაცი“. I და II სერია. 00.55 — მხატვრული ტელეფილმი „ჩემი ფაქიზი საყვარელი დეტექტივი“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 05887 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზეროვის ციოელი დროშის ორდენოსანი სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით. საბაზეთო კორპუსი, ხოუარაულის 19.